სამზე

№8(188)
აგვისტო
2011

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

სიქსტეს ღვთისმშობელი

ფოლიანოს ღვთისმშობელი

„ზეციური ბრწყინვალება“

სექტემბერს, როდესაც პაპი ბენედიქტე XVI თავის სამშობლოში — გერმანიაში — გაეშურება, ამ მოგზაურობაში იგი თან წააბრძანებს რაფაელის ფოლინიოს ღვთისმშობელს, რომელიც, ჩვეულებრივ, ვატიკანის მუზეუმშია დაცული; ეს უდიდესი საჩუქარი იქნება ყველა მისი თანამემამულისათვის, მსოფლიოში ყველა დაინტერესებული პირისა თუ ხელოვანისთვის, და საერთოდ, ფართო საზოგადოებისათვის. ღვთისმშობლის ეს ხატი პირველად გამოიფინება რაფაელის ცნობილი სიქსტეს ღვთისმშობლის, იგივე სიქსტეს მადონას გვერდით (ორივე სურათი იხილეთ გარეკანის წინა მხარეს), რომელიც ამჟამად დრეზდენის გალერეაშია დაცული და მას ფოლინიოს ღვთისმშობლის „დად“ მოიხსენებენ კიდეც. სავარაუდოდ, ეს ორი „და“, უკანასკნელად რაფაელის სახელოსნოში 1511-1513 წლებში ნახეს, ეს ამ ტილოების თანადროულად შექმნის მოკლე პერიოდი იყო, როდესაც რაფაელი თავისი შემოქმედებითი სიმწიფის მწვერვალზე იმყოფებოდა.

პირველი „და“, ანუ ფოლინიოს ღვთისმშობელი, Aurea-ს ლეგენდის თანახმად, გამოსახულია ყრმა იესოთი ხელში: ლეგენდა მოგვითხრობს, რომ იმპერატორმა ავგუსტუსმა იესოს შობის დღეს იხილა წმიდა ქალწული ყრმით ხელში, და რომ ეს ყრმა ღვთის ძე იყო. მას შემდეგ, რაც სიბილა ტიბურტინამ იმპერატორს შთააგონა, რომ მარიამის ხელში მყოფი ყრმა მასზე უდიადესი არის და თაყვანი უნდა ეცა მისთვის, იმპერატორმა კაპიტოლიუმზე „ზეციური საკურთხეველი“ (Ara Coeli) აღმართა და საკუთარი თავის ღვთაებრიობაზე უარი თქვა. აი, ასე გაცხადდა წარმართულ რომში ქრისტეს მოსვლის პირველი უწყება, ჯერ კიდევ მანამ, სანამ მოციქულები თავიანთი მისიის აღსრულებას შეუდგებოდნენ. ღვთისმშობლის ფერხთით მყოფი ოთხი პიროვნება ავგუსტუსის ხილვის მონაწილეა; ისინი უფლის შობის უშუალო მახარებლები არიან: იოანე ნათლისმცემელი, რომელიც იესოს წინამორბედია, მიგვითითებს იესოზე და მაყურებელსაც მიაპყრობინებს ყურადღებას ამ სანახაობაზე; წმ. ფრანცისკე ასიზელი, პრეზეპეს შემქმნელი, რომლის რელიგიურ ორდენსაც ევალებოდა Ara coeli-ში წმიდა მარიამის ტაძრის დაცვა; წმ. იერონიმე, რომელიც ცხოვრობდა ბეთლემში და იქვე მიიცვალა...; სიგიზმუნდ კონტი — ჰუმანისტი და პაპის პირადი მდივანი, რომელიც ფოლინიოს უძველეს და წარჩინებულ ოჯახს მიეკუთვნებოდა, გამოსახულია მარჯვნივ ხელებგაწვდილი, როდესაც წმიდა იერონიმე მას ღვთისმშობელს წარუდგენს. თავდაპირველად სურათი ხის ფიცარზე იყო დახატული, მაგრამ როდესაც ფრანგებმა, ტოლენტინოს (1797) ტრაქტატის შემდეგ, იგი პარიზში წაიღეს, როგორც საბრძოლო მონაპოვარი, ნახატი ტილოზე გადაიტანეს; მოგვიანებით, 1815 წელს, ანტონიო კანოვამ იგი ვატიკანს დაუბრუნა და დღემდე ვატიკანის მუზეუმში, პინაკოთეკაში ინახება.

მეორე „და“ — სიქსტეს მადონა — ერთგვარად აგრძელებს ფოლინიოს ღვთისმშობლის იდეას, რაფაელი ქალწულ მარიამს ყრმით გამოსახავს და იგი აქაც ხილვის მიხედვით არის ნაჩვენები; აქვეა ორი მთავარი წმინდანი პიაჩენცას ეკლესიიდან: პაპი სიქსტე II და წმიდა ბარბარე. გადაწეული ფარდის უკან თითქოს მხოლოდ ღრუბლები ჩანს, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ეს ანგელოზების თავებია, რაც მეტ რეალიზმს სძენს თხრობას, და ასევე შეგვახსენებს, რომ ღვთიური გამოცხადების წინაშე ვიმყოფებით. სურათის წინა პლანზე, თაროზე დევს პონტიფექსის ტიარა და რკო (პაპის საგვარეულო გერბიდან). რაფაელმა სურათზე ორი პატარა ონავარი ანგელოზი დაამატა, რომლებიც, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ანგელოზები არიან. 1754 წელს ტილო შეიძინა მეფე ავგუსტ საქსონელმა და იგი დრეზდენში, თავის სამეფოში წააბრძანა. რვაასიანი წლების დასაწყისში სიქსტეს ღვთისმშობლის სურათის ასლები მთელ მსოფლიოში გავრცელდა. მისი ზეგავლენა დიდი იყო, იგი მრავალი კლასიკოსის შთაგონების წყაროდ იქცა: ვინკელმანში ანტიკური ქანდაკებების მიმართ დიდი დაინტერესება გამოიწვია; დიდი გერმანელი კლასიკოსის გოეთეს „ფაუსტის“ დასკვნით ნაწილში ჩანს ხსნის ხილვის სცენის სრულყოფილება. XIX საუკუნეში, დასავლურ კულტურაში სიქსტეს მადონა ღვთისმშობლის ყველაზე შთამბეჭდავ ხატად მიიჩნეოდა.

ამგვარად, „ღვთისმშობელთა შეხვედრაზე“, რომელიც გაიმართება მრავლისმეტყველი სათაურით — „ზეციური ბრწყინვალება“ (Himmlischer Glanz), რაფაელის ორი შედევრის გვერდით გამოიფინება სხვა მხატვრების მიერ შესრულებული ღვთისმშობლის ხატებიც, მათ შორის, ყველაზე ცნობილი, რაფაელის თანამედროვე მხატვრის, დიურერის (რომელთანაც რაფაელს შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა) ღვთისმშობელიც; იქნება გრიუნევალდიც, რომელიც იზიარებს შუქ-ჩრდილის გამოსახვის რაფაელისეულ მანერას (თუმცაღა, ეს ორი მხატვარი ერთმანეთს არ იცნობდა) და კრანახ უფროსი, რომელიც იმ წლებში პროტესტანტული თეოლოგიის იკონოგრაფიული მედროშე და მარტინ ლუთერის პორტრეტის შემქმნელი ხდებოდა. აღორძინების ხანის დიდი ევროპელი ოსტატების მხრიდან ეს ღვთისმშობლისადმი ერთგვარი პატივის მიგებაა, ლორეტოსეული ლიტანიის მიხედვით.

საქართველოში ამ ორ „და“ ტილოს შორის უფრო ცნობილია სიქსტეს ღვთისმშობელი, იგივე სიქსტეს მადონა. ამ ტილოს უამრავი რეპროდუქცია ინახებოდა ოჯახებსა თუ სხვადასხვა ადგილებში..; მაგრამ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მისდამი ესოდენი მოწიწება ამ უკანასკნელ წლებში ჩაანაცვლა კანონიკური ხატებისადმი ერთგვარმა „რასისტულმა“ მიდგომამ, და ეს იმდენად შესამჩნევია, რომ დღე არ გაივლის, საქართველოს რომელიმე კათოლიკურ ეკლესიაში ამ ხატის ასლი არ დატოვონ; არადა, სტალინურ მოსკოვში, 1955 წელს, ეს ტილო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ნადავლთა შორის აღმოჩნდა, დაბრუნებამდე უფრო მეტი მოწიწებით გამოფინეს, ვიდრე ეს აღმოსავლეთ გერმანიაში ელოდა ამ შედევრს.

რატომ ხდება სხვაგვარად საქართველოში? მისი დახატვით რაფაელს, ცხადია, სულაც არ უნდოდა ღვთისმშობლის უკვე არსებულ სურათ-ხატებთან ან ჯოტოს „მარიამთან“ დაპირისპირება... მას მნახველებში ღვთისმშობლისადმი მოწიწების გაღვივება სურდა; მაშ, რატომ არის დღეს ჩვენთან ასეთი გულგრილი განწყობა მის მიმართ, მაშინ როდესაც ევროპაში ცდილობენ, კვლავ და კვლავ აღმოაჩინონ მასში ღირებულება, მშვენიერება...?

15 და 28 აგვისტოს, დასავლური და აღმოსავლური ტრადიციის ორი ეკლესია ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების, იგივე მარიამის მიძინების, დიდდღესასწაულს აღნიშნავს; უფალმა ინებოს, რომ მისი დედის სურათ-ხატები იქცეს მოწიწების საგნად უფრორე ეკლესიებში და არა ოდენ მუზეუმებში!

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

შიმშილი სომალში

„უღრმესი წუხილით ვადევნებ თვალს ცნობებს, რომლებიც აფრიკის რქის რეგიონიდან მოდის. უამრავი ადამიანი ტოვებს თავის სამკვიდროს, გაურბის შიმშილს, ეძებს თავშესაფარსა და საკვებს. იმედი მაქვს, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა დროულ დახმარებას გაუწევს ჩვენს ძმებსა და დებს, რომელთაც უმძიმესი განსაცდელი ხვდათ წილად. მათ შორის ბევრი ბავშვია. დაე, ქმედითი იყოს კეთილი ნების ადამიანთა თანადგომა და თანაგრძნობა ამ ხალხის მიმართ“, — აღნიშნა 17 ივლისს თავის ქადაგებში უწმიდესმა პაპმა.

სომალის ნახევარკუნძულზე არსებული ჰუმანიტარული კრიზისი უკიდურესად გამწვავდა 50 წლის განმავლობაში უძლიერესი გვალვის გამო.

20 ივლისს გაერომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ შიმშილობს სამხრეთ სომალის ორი რეგიონის, — ბაკულისა და ქვემო შაბელეის მოსახლეობა. სომალის ჰუმანიტარული დახმარების სამსახურის კოორდინატორი მარკ ბოუდენი აღნიშნავს, რომ ამ პროვინციებში განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა, თუმცა საკვების მწვავე უკმარისობას ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი, 3,7 მილიონი ადამიანი განიცდის, აქედან 2,8 მილიონი ქვეყნის სამხრეთის მკვიდრია. „თუკი დაუყოვნებელ ზომებს არ მივიღებთ, გვალვის, მოუსავლიანობისა და ეპიდემიების გამო შიმშილი ქვეყნის მთელ სამხრეთ რეგიონს მოიცავს“, — განაცხადა მარკ ბოუდენმა.

რადიკალური ისლამისტური დაჯგუფება „ალ-შაბაბ“, რომელიც ქვეყნის სამხრეთ რეგიონის დიდ ნაწილს აკონტროლებს, გაეროს განცხადებას სიცრუეს უწოდებს და შიმშილის შესახებ ცნობებს კატეგორიულად უარყოფს. მაშინაც კი, როდესაც დაჯგუფებამ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს გვალვისგან დაზარალებულ რეგიონში მოქმედების ნება დართო, საქმიანობის ჯეროვნად განხორციელება ძალზე რთული იყო ადგილობრივი მატერიალური ბაზისა და უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო. 22 ივნისს კი ფუნდამენტალისტებმა გადაწყვეტილება შეცვალეს და განაცხადეს, რომ არ დაუშვებენ ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენლებს მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

საკუთრივ სომალის გარდა, შიმშილი აფრიკის რქის სხვა ქვეყნებშიც აღინიშნება.

გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის საკითხების ორგანიზაციის მონაცემებით, 2010 წლის სექტემბრისთვის მსოფლიოში 925 მილიონი ადამიანი განიცდიდა ქრონიკულ შიმშილს.

„ჰუმანიტარულმა კრიზისმა ქვეყნის მკვიდრთა უმრავლესობა მოიცვა; შიმშილის მთავარი მსხვერპლნი ბავშვები და მოხუცები არიან; ასიათასობით ადამიანს სასიკვდილო საფრთხე ემუქრება. საერთაშორისო საზოგადოებრიობამ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციათა ისედაც რთულ საქმიანობას ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებაც აფერხებს. ეკლესია ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდებას „კარიტასის“ მეშვეობით ახერხებს. მოხალისეები აქტიურად მოქმედებენ ლტოლვილთა ბანაკებში და ქვეყნის განსაკუთრებით მძიმე ნაწილებში“, — აღნიშნა მოგადიშუს სამოციქულო ადმინისტრატორმა, ეპისკოპოსმა ჯორჯო ბერტინიმ ვატიკანის რადიოს კორესპონდენტთან საუბრისას.

პაკისტანში რელიგიური უმცირესობების საქმეთა სამინისტრო გაუქმდა



ფორმალურად სამინისტროს გაუქმება პაკისტანის „მთავრობის რესტრუქტურიზაციის“ შედეგია. თუმცა პაკისტანის რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლები შიშობენ, რომ ამგვარად მთავრობამ ის „პრობლემები“ გადაჭრა, რომლებსაც ეს სახელმწიფო სტრუქტურა ქმნიდა.

▶ 4 ᲒᲒ.

პაკისტანის პრემიერ-მინისტრის რაზა გილანის განცხადებით, გაუქმებული სამინისტროს ნაცვლად უახლოეს დროში შეიქმნება ე. წ. რელიგიური ჰარმონიისა და ადამიანის უფლებათა ფედერალური სამინისტრო, რომლის კომპეტენციაში იქნება რელიგიურ უმცირესობათა საკითხების გადაწყვეტაც. თუმცა რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლები ეჭვებს გამოთქვამენ ამ დაპირების თაობაზე და აქამდე არსებული სამინისტროს გაუქმებას „შაჰბას ბჰატის მეორე მკვლელობას“ უწოდებენ.

რელიგიური უმცირესობების საქმეთა მინისტრი, აღმსარებლობით კათოლიკე შაჰბას ბჰატი ამა წლის 2 მარტს მოკლეს. თავდასხმისთვის პასუხისმგებლობა თალიბანმა აიღო. ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, მინისტრი მკრეხელობისთვის დაისაჯა.

ბჰატის მინისტრობის პერიოდში მის მიმართ არაერთი მუქარა გაისმა ფუნდამენტალისტთა მხრიდან. იგი დაჟინებით ითხოვდა მკრეხელობის შესახებ კანონის გადახედვას და ცდილობდა რელიგიური უმცირესობების საქმეთა სამინისტროს შენარჩუნებას, რომლის გაუქმების გეგმა უკვე იმ დროს არსებობდა.

დესი პაპი წმიდა საყდრის ახალი საინფორმაციო პორტალის პირველ სტუმრებს.

პორტალზე წარმოდგენილია უახლესი მასალები ისეთი საინფორმაციო რესურსებისა, როგორიცაა L'osservatore romano, Fides News Agency, ვატიკანის რადიო და ტელეცენტრი, ვატიკანის საინფორმაციო სამსახური, წმიდა საყდრის პრესცენტრი.

პორტალი საზოგადოებრივი კომუნიკაციების პონტიფიკალური საბჭოს ეგიდით შეიქმნა. როგორც აღნიშნა ამ დიკასტერიის ხელმძღვანელმა, მთავარეპისკოპოსმა კლავდიო მარია ჩელიმ, პირველ თვეებში პორტალი მხოლოდ ინგლისურ და იტალიურ ენებზე იმუშავებს. შემოდგომით კი დაგეგმილია ესპანური, ფრანგული და პორტუგალიური ვერსიების დამატება.

Cor Unum 40 წლისაა

15 ივლისს პონტიფიკალური საბჭოს Cor Unum (ერთი გულით) დაარსების 40 წლისთავი აღინიშნა.

გაზეთისთვის L'osservatore Romano დაწერილ სტატიაში, საბჭოს თავმჯდომარე კარდინალი რობერტო სარა აღნიშნავს: „პავლე VI-მ ეს საბჭო იმ დროს დააარსა, როდესაც მსოფლიოში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა და ეკლესია სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალურ პრობლემებს. Cor Unum გახდა შეხვედრის, დიალოგისა და თანამშრომლობის ადგილი ეკლესიის წიაღში მოქმედი საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის. უწმიდესი პაპი ბენედიქტე XVI ამბობს, რომ ღმრთის დავიწყება ასუსტებს და ანგრევს თანამედროვე კულტურას. მაგრამ იგი ღმერთთან დაბრუნების გზაზეც მიგვითითებს: ეს ადამიანთა მიმართ თანაგრძნობა და გულმოწყალებაა. ღმერთი სიყვარულია, და ქველმოქმედება ის მოწმობაა, რომელიც დაეხმარება ადამიანებს, იპოვონ და შეიცნონ ღმრთის სიყვარული“.

საბჭოს მიზანია კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინირება. დიკასტერიის საქმიანობა ხორციელდება თავმჯდომარის, მდივნის, ოცდათვრამეტი წევრისა და ცხრა მრჩევლის მიერ. ყველა მათგანი ხუთი წლის ვადით აირჩევა.

news.va

„მეგობრებო, ახლახანს გავხსენი საიტი news.va. დიდება ჩვენს უფალს იესო ქრისტეს. ლოცვითა და კურთხევით, ბენედიქტე XVI“, — ამ სიტყვებით მიეგება უწმი-

მოწოდება დაუმორჩილებლობისკენ

ავსტრიის კათოლიკე ეკლესიის სამასზე მეტი მღვდელი (ამ ქვეყანაში ოთხიათას ორასი მღვდელი ეწევა მსახურებას) შეუერთდა დაუმორჩილებლობისკენ მოწოდებას, რომელიც ამა წლის ივნისში გახმიანდა.

„მოწოდების“ აქტივისტები თავის მოქმედებას „დიდი ხნის წინ მომწიფებული რეფორმის აუცილებლობის უგულვებელყოფითა და ეპისკოპოსთა უმოქმედობით“ ხსნიან. მათი განცხადებით, ევქარისტიის ნება უნდა მიეცეს კეთილი ნების ყველა ადამიანს, მათ შორის, არაკათოლიკეებს და იმ ადამიანებს, რომლებიც არაეკლესიურ ქორწინებაში იმყოფებიან; მოთხოვნათა შორისაა ქორწინებაში მყოფ მამაკაცთა, ასევე ქალთა ხელდასხმა.

„შეძრული ვარ მათი მოქმედებით. მინდა მათ შევახსენო, რომ ხელდასხმისას მორჩილების აღთქმა მისცეს თავის ეპისკოპოსს, და მინდა ვკითხო: შემიძლია, ამიერიდან თქვენი იმედი მქონდეს? ქრისტიანული მორჩილება თავისუფლების სკოლაა. საუბარია მის გამოვლინებაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში, რასაც „მამაო ჩვენოს“ კითხვისას ვითხოვთ. ამას პაპისა და ეპისკოპოსთა მორჩილებაშიც ვავლენთ. ის, ვინც მორჩილების პრინციპს უარყოფს, ერთობას არღვევს“, — განაცხადა ვენის მთავარეპისკოპოსმა კარდინალმა კრისტოფ შენბორნმა.

საინიციატივო ჯგუფის ვებ-საიტი რეგისტრირებულია ჰანს ბენსდორფის სახელზე. 2010 წლამდე იგი ჰენცენდორფის წმიდა სავარდის ტაძრის მღვდელი იყო.

რაცინგერის პრემიის პირველი ლაურეატები

30 ივნისს ბენედიქტე XVI-მ რაცინგერის პრემიის პირველი ლაურეატები დააჯილდოვა.

პრემიის პირველი მფლობელები გახდნენ პატრისტიკის სპეციალისტი, Augustianianum-ის პროფესორი მანლიო სიმონეტი, დოგმატიკის სპეციალისტი, სალამანკას უნივერსიტეტის პროფესორი ოლეგარიო გონსალეს დე კარდედალი, დოგმატიკისა და ზოგადი ღმრთისმეტყველების სპეციალისტი, ბენედიქტე XVI-ის შრომების მკვლევარი მაქსიმილიან ჰაიმი.

პრემიის ნომინანტების ვინაობასა და მინიჭების კრიტერიუმებს ადგენს იოზეფ რაცინგერის ფონდის სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობაში სამი კარდინალი (ბერტონე, ამატო, რულინი) და ორი მთავარეპისკოპოსია (რწმენის მოძღვრების კონგრეგაციის თავმჯდომარე ლადარია ფერერი და კათოლიკური განათლების კონგრეგაციის თავმჯდომარე ჟან-ლუი ბრიუგე).

გარდაიცვალა კათოლიკე ეკლესიის უხუცესი ეპისკოპოსი



21 ივლისს ბელორუსში 96 წლის ასაკში გარდაიცვალა კათოლიკე ეკლესიის უხუცესი მოქმედი ეპისკოპოსი, კარდინალი კაზიმირ სვენტეკი.

კაზიმირ სვენტეკი დაიბადა ესტონეთში, 1914 წელს. 1917-1922 წლები გაატარა ციმბირში, სადაც მისი ოჯახი გადაასახლეს. 1922 წელს სვენტეკების ოჯახმა პოლონეთში გადასვლა მოახერხა.

1932 წელს, გიმნაზიის დასრულების შემდეგ, კაზიმირ სვენტეკი პინსკის (იმ დროს პოლონეთის ტერიტორია) თომა აქვინელის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა. 1939 წელს, ხელდასხმის შემდეგ, იგი შპიონაჟის ბრალდებით დააპატიმრეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. განაჩენის აღსრულებას ხელი ომმა „შეუშალა“. 1944 წელს კვლავ დააპატიმრეს და შემდგომი 10 წელიწადი მან გულაგში გაატარა. 1954 წლიდან მსახურებას ეწეოდა ბელარუსში, პინსკის ეპარქიაში.

„მან გამოიარა გადასახლება და ეკლესიის დევნა. მაგრამ ყველაფერს გაუძლო და მოვიდა ჩვენთან, როგორც რწმენის მოწმე. მადლობას ვწირავთ უფალს, რომ მისცა ეკლესიას ეს ადამიანი“, — აღნიშნა მთავარეპისკოპოსმა ტადეუშ კონდრუსევიჩმა.

„უარვყოთ ბოროტების ლოგიკა „

უწმიდესმა პაპმა ნორვეგიის ტერაქტების მსხვერპლთათვის ლოცვა აღავლინა.

„ვილოცოთ დაღუპულთათვის, დაშავებულთათვის და მათი ოჯახებისთვის. მოვუწოდებ ყველას, სამუდამოდ უარი ვთქვათ სიძულვილზე, უარვყოთ ბოროტების ლოგიკა; ყური მივუგდოთ ჭეშმარიტების ხმას და ღმრთის ნებას მივყვეთ; ვილოცოთ ნორვეგიის მკვიდრთათვის, რათა, ამ მწუხარების ჟამს, მათ სულიერი ერთობა იგრძნონ და უშიშრად იღვაწონ მომავალ თაობათა საკეთილდღეოდ“.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

თბილისის კათოლიკეთა საკათედრო ტაძრის სახელდების საკითხი
(„ამაღლება“ თუ „ზეცად აღყვანება“?)

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ თბილისში პირველი კათოლიკენი ძირითადად ცხოვრობდნენ ქვემო კალაში, სოლოლაკში, დღევანდელი ლესელიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქვე უნდა არსებულიყო მათი პირველი ეკლესიაც, რომელიც „მდებარეობდა ჯვარის მამის ეკლესიის მახლობლად, ცოტა ზემოთ სოლოლაკის მხრით, სადაც დღეს აღარაფერი სჩანს და იქ სახლებია გაკეთებული. შემდეგი დროის ეკლესიაც ამავე მხარეს არსებობდა“ (ზ. ჭიჭინაძე, კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, ტფ., 1903, გვ. 48). ისიც ცნობილია, რომ საუკუნეების მანძილზე თბილისში ქართველ კათოლიკეთა და მათი ეკლესიების მიმართ ყოველთვის არ იყო სასურველი (კეთილგანწყობითი) დამოკიდებულება: ეკლესიებს აუქმებდნენ, ან კიდევ აცხადებდნენ სხვათა კუთვნილებად, იშვიათი არ იყო გარეშე მტერთა მიერ ეკლესიების განადგურებისა თუ შევიწროების შემთხვევებიც...

XVII საუკუნეში (1671 წელს) ქვემო კალაში, კათოლიკეთა ქუჩაზე (დღევ. გია აბესაძის ქუჩა), კაპუცინი პატრების მისიონმა ააგო ახალი საყდარი „ხარების ეკლესიის“ სახელწოდებით, თუმცა მალე, „1755 წელს, იგი მეფე თეიმურაზ მეორემ ჩამოართვა კათოლიკეებს და გადასცა მართლმადიდებლებს. ეს შენობა აღარ არსებობს“ (თბილისი, 2002, სტატია „მიძინების ტაძარი“).

1801 წლიდან თბილისში კიდევ უფრო იზრდებოდა კათოლიკეთა რიცხვი. მრევლს ვეღარ იტევდა ის პატარა ეკლესია, რომელიც 1760-იან წლებში (ერეკლე მეორის გამეფების შემდეგ) კვლავ ააგეს იტალიელმა პატრებმა დაახლოებით იმავე ტერიტორიაზე. „1804 წელს ისარლიშვილებისა და ზუბალაშვილების თაოსნობით შეწირულ იქმნა ის ადგილი, შუა ბაზარში, სადაც დღეს ეკლესია არის. ყოფილი „ხარების ეკლესიის“ პირდაპირ კაპუცინთა წინამძღვრის ფრ. ფილიპო ფორანოელის (სხვა ვერსიით: ფილიპე თორონელის — ჟ.ფ.) თაოსნობით საძირკველი ჩაეყარა ქართველ კათოლიკეთა ახალ ეკლესიას, რომელიც აშენდა ადგილობრივ კათოლიკეთა შეწირული თანხებით და ეწოდებოდა „ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. 1884 წელს ეს ეკლესია განაახლა და გააფართოვა მამა დიმიტრი თუმანიშვილმა. წინ მიუდგა თლილის ქვით ნაშენი ნახევარი ეკლესია, შიგაც კარგად მორთო და შეამკო. გარს გალავანიც გაუკეთა“ (ზ. ჭიჭინაძე, იქვე, გვ.52).

მასალების მიხედვით, ქართველ კათოლიკეთაგან მიძინების ეკლესიის მფარველობითა და უხვი შეწირულობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ზუბალაშვილები (მათი შტოს რამდენიმე წარმომადგენელი დაკრძალული იყო ამ ეკლესიაში).

XIX საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე ღვთისმშობლის სახელზე აგებული ეკლესია (შემოკლებით — „კათოლიკეთა მიძინების ეკლესია“) ჭეშმარიტად გახლდათ თბილისელი მრევლის სულიერების ტაძარი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ, სხვა ეკლესიების მსგავსად, იგიც მალე გააუქმა (ერთხანს გამოყენებული იყო სპორტულ დარბაზადაც კი!)...

1990-იან წლებში, ქვეყანაში შექმნილი ახალი პოლიტიკური ვითარებისა და კათოლიკეთა დიდი ძალისხმევის წყალობით, მიძინების ეკლესია დაუბრუნდა თბილისის კათოლიკე მრევლს და ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ინიციატივით იგი კვლავ აღადგინეს 1999 წელს და აკურთხეს ღვთისმშობლის ამაღლების სახელზე. ამიერიდან განახლებულ ტაძარს ოფიციალურად ეწოდა“ წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ამაღლების კათოლიკური ტაძარი“.

საგულისხმოა, რომ ქართულ სინამდვილეში ტერმინი „ღვთისმშობლის მიძინება“ („წმ. მარიამის მიძინება“) დამკვიდრებული და ფართოდ გავრცელებულია, მაგრამ თეოლოგიურად, ლათინური წესის კათოლიკური ტრადიციიდან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ ტერმინები „მიძინება“ და „ამაღლება“ მარიამთან მიმართებაში ზუსტად ვერ ასახავს რეალურ ვითარებას, ზედმიწევნით ვერ გადმოსცემს წმ. მარიამის პიროვნების თვისობრიობას: კერძოდ: წმ. მარიამმა არა მხოლოდ მიიძინა სხვა მოკვდავთა მსგავსად, არამედ იგი იმავდროულად ზეცად იქნა აღყვანილი, თუმცა თავად არ ამაღლებულა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა მარიამმა მიიძინა, იგი, როგორც ქალწული, როგორც მაცხოვრის დედა — ღმერთის მშობელი, წმინდანი, ანგელოზებმა აღიყვანეს ზეცად.

ზეცად ამაღლდა მხოლოდ ქრისტე („და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა“...). ქართულ ტრადიციაშიც ტერმინი „ამაღლება“ (დღესასწაულის აღსანიშნავად) მხოლოდ ქრისტეს უკავშირდება. შესაბამისად, წმ. მარიამის ამაღლება და ქრისტეს ამაღლება ერთი და იმავე ოდენობის მოვლენებად ვერ ჩაითვლება. ლათინურ ეკლესიაში ამასთან დაკავშირებით სპეციალური დოგმაც არსებობს და ეს ორი ტერმინი განსხვავებულია ფორმობრივადაც: შდრ. Ascensione — ამაღლება (იესოსი) და Assunzione — აღყვანა (ზეცად მარიამისა).

მაშასადამე, თეოლოგიური ასპექტითა და თვით სიტყვის სემანტიკის მიხედვით, უფრო მართებული ჩანს მარიამის ზეცად აღყვანება და არა მარიამის ამაღლება (მით უფრო — მარიამის მიძინება). აქედან გამომდინარე, ჩვენი საკათედრო ტაძარიც უნდა იყოს „მარიამის ზეცად აღყვანების სახელობისა“. მართალია, ტერმინი „ზეცად აღყვანება“ ქართველისათვის ნაკლებკეთილხმოვანია, ვიდრე „ამაღლება“, მაგრამ უფრო დატვირთულია სიწმინდის ამაღლებულობის გამომხატველი ნიუანსებით და, რაც მთავარია, გამართლებულია თეოლოგიურად.

ჟუჟუნა ფეიქრიშვილი

პეტრე-პავლობის დიდი დღესასწაული

პეტრე-პავლობა მთელი მსოფლიოს ქრისტიანული სამყაროს დიდი დღესასწაულია. 29 ივნისს ამ დღესასწაულს განსაკუთრებულად აღნიშნავს თბილისის წმიდა პეტრე და წმიდა პავლე მოციქულთა კათოლიკური ეკლესია. ამ დღეს ეკლესიას ბევრი მომლოცველი სტუმრობს, ამიტომ მრევლი სათანადოდ ემზადება სტუმრების ღირსეულად დასახვედრად.

პეტრე-პავლობის დღესასწაულის მნიშვნელობაზე და მისი აღნიშვნის ტრადიციებზე ბევრჯერ დაწერილა (2010 წლის „საბას“ ივლისის ნომერში ბატონი ნუგზარ ბარდაველიძე დაწვრილებით აგვიწერს ამ დღესასწაულის ისტორიას).

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის საკურთხეველს უამრავი ლამაზი თაიგული ამშვენებდა... ეკლესიის მრევლის წევრებმა, კაპიტონოვების ოჯახურმა წყვილმა თაყვანი სცეს წმიდა პეტრესა და წმიდა პავლეს ქანდაკებებს და ყვავილების თაიგულები დაუწყვეს ფერხთით.

წმ. წირვის დაწყების წინ, ტაძრის წინამძღვარმა მამა ადამ ოხალმა პეტრე-პავლობის დღესასწაული მიულოცა ეპისკოპოსს, სასულიერო პირებს, მობრძანებულ სტუმრებსა და ეკლესიის მრევლს. სადღესასწაულო მსახურებას ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო აღასრულებდა, სამღვდელო დასთან ერთად.

როგორც ყოველთვის, მეუფე ჯუზეპეს ქადაგება მოკლე, მაგრამ ნიშანდობლივი და მრავლისმომცველი იყო. მან სახარებიდან გაიხსენა ეპიზოდი, როდესაც იესო ეკითხება პეტრეს: „რას ამბობს ხალხი?“ (მათ: 16, 13), ხოლო შემდეგ სამგზის უმეორებს მას: „გიყვარვარ?“ პეტრეს, თავისი სიმტკიცის გამო, იესო კლდეს ადარებს: „შენა ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევენ ჯოჯოხეთის ბჭენი“ (მათ: 16, 18). — როგორც ვიცით, კლდე სტაბილურობის, სიმტკიცის ნიშანია. თქვენ უნდა შეინახოთ თქვენი რწმენა, რომ იგი გახდეს ნაყოფიერი სიყვარულში, — აღნიშნა მეუფემ. ქადაგების ბოლოს, ეპისკოპოსმა მოგვიწოდა, გველოცა პაპისა და მღვდლებისათვის.

წირვის დამთავრების შემდეგ, ტრადიციულად, ყველამ ტკბილ სუფრაზე გადაინაცვლა.

P.S. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ფურშეტი სათანადოდ არ იყო ორგანიზებული. კარგი იქნება, თუ ეკლესიის მესვეურნი შემდეგისთვის გაითვალისწინებენ ამ სიტუაციას. სასურველია, რომ თითოეულს ინდივიდუალურად, პაკეტებით დაურიგდეს ნუგბარი (როგორც ამას კამილიელები აკეთებენ), რათა გულნატკენი არავინ დარჩეს; ასევე კარგია, იდგეს მაგიდები, სადაც მოთავსებული იქნება ტკბილეული და „ბუტერბროდები“, იყოს წესრიგი, რათა ბავშვებმა „დაჭერობანა“ არ ითამაშინ მაგიდების გარშემო.

სასურველია ფურშეტის მომზადება დაევალოს არა ყველა მსურველს, არამედ რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს (სამრევლო საბჭოს წევრებს, აქტივისტთა ჯგუფს და ა. შ.), მათ, რომლებსაც გაცნობიერებული ექნებათ საკუთარი მოვალეობები და პასუხს აგებენ ყველაფერზე.

ნადია ჩიტაძე

მოშლოცველობა სტამბულის ქართულ სავანეში

სტამბულის (კონსტანტინოპოლის) ქართველ კათოლიკეთა სავანე XIX საუკუნის II ნახევარში დაარსდა ქართველ კათოლიკე მამულიშვილთა მიერ და იმ დროს ერთადერთ ქართულ სავანეს წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიის გარეთ. ამ სავანის მნიშვნელობა იმხანად უაღრესად ფასდაუდებელი იყო ქართველი ერის ისტორიაში; იგი ზოგადქართული სულიერების ერთადერთ ციტადელს წარმოადგენდა, და უფრო მეტი იყო, ვიდრე კონფესიური ცენტრი.

1919-1921 წლებში, როდესაც პირველად შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკა, სტამბულის ქართული სავანე დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენდა საქართველოსა და ევროპას შორის. შემთხვევითი არ არის, რომ იძულებით ემიგრაციაში წასული საქართველოს მთავრობა სტამბულის სავანეში დაბინავდა და საგანძურიც, საფრანგეთში გადატანამდე, აქ იყო შენახული.

მოგვიანებით, საქართველოს ხელისუფლების პატრიოტულად განწყობილ წარმომადგენლებს უკვე აღელვებდათ სტამბულის სავანის ბედი და ცდილობდნენ, რომ სხვის ხელში არ მოქცეულიყო ქართველ კათოლიკეთა მიერ დაარსებული სავანე. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, არაფორმალურ ვითარებაში, 1988 წელს, თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის წინამძღვარსაც მიმართეს დახმარებისთვის; მამა იან სნეჟინსკიმ მათ თანადგომა აღუთქვა და თან დაამშვიდა ხელისუფლების წარმომადგენლები: „სტამბულში კათოლიკე ეპისკოპოსის კათედრაა და არც ეპისკოპოსი, არც ვატიკანი არ დაუშვებს, რომ კათოლიკური ტაძარი სხვა კონფესიის წარმომადგენლებს ჩაუვარდეთ ხელშიო“. 1990 წლის ივლისში საშუალება

▶ 8 გვ.

მომეცა, სტამბულში ჩავსულიყავი და ქართული კათოლიკური სავანე მომენახულებინა. იმხანად ტაძარში სტამბულის დიოცეზის მღვდელი, ფრანგი მამა სენტე ბედონი კვირაში ერთხელ ატარებდა წმ. წირვებს. სტამბულის ქართულ სავანეში კვლავ სტუმრობა ოცნებად მქონდა გადაქცეული, მაგრამ, სამწუხაროდ, 21 წლის მანძილზე ამის საშუალება აღარ მომეცა. 2011 წლის გაზაფხულზე კულტურის კომისიის სხდომაზე, როდესაც დიდი ქართველი მამულიშვილის, მიხეილ თამარაშვილის საიუბილეო ღონისძიებებს ვგეგმავდით, კომისიის წევრებს შევთავაზე, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, სტამბულის სავანეში მომლოცველობა მოგვეწყო. მამა გაბრიელე ბრაგანტინი მაშინვე დაეთანხმა ამ წინადადებას და ერთი თვის თავზე უკვე დაგეგმა მომლოცველობა სტამბულში. ფაქტობრივად, მ. თამარაშვილის საიუბილეო ღონისძიებათა ციკლში ეს მომლოცველობა პირველ განხორციელებულ აქტიობად იქცა.

2011 წლის 27 ივნისს თბილისის კათედრალიდან ქუთაისისკენ გაემგზავრა მომლოცველთა ჯგუფი. ქუთაისში შემოგვიერთდნენ სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული მომლოცველები და ბათუმისაკენ ავიღეთ გეზი.

მომლოცველობის მარშრუტი შემდეგნაირად დაიგეგმა: სტამბულში ქართული სავანის მონახულება და წმ. მოციქულთა პეტრესა და პავლეს ხსენების დღესასწაულისადმი მიძღვნილი წირვის ჩატარება; შეხვედრა სტამბულის დიოცეზის მმართველთან; საქართველოს საკონსულოში დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრა; სტამბულის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება; უკან დაბრუნებისას კი ტრაპიზონის კათოლიკური ტაძრის მონახულება და იქ ღმრთიმსახურების ჩატარება. აქვე აღვნიშნავ, რომ ტრაპიზონის ტაძარში სტუმრობა არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ იქაური ქრისტიანებისადმი თანადგომის გამოხატულების თვალსაზრისით.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ტერორისტების მიერ ვერაგულად იქნა მოკლული ტრაპიზონის კათოლიკური ტაძრის (ეს ტაძარი ერთადერთი ქრისტიანული კერაა მთელ პროვინციაში) წინამძღვარი, ხოლო გასულ წელს ამ დიოცეზის მმართველი ეპისკოპოსი. ამის შესახებ საკმაოდ ვრცელი ინფორმაციები იქნა გამოქვეყნებული ჟურნალ „საბაში“. ამ ტაძარში სალოცავად იკრიბებიან არა მხოლოდ კათოლიკეები, არამედ მართლმადიდებლები, (მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი სწორედ ქართული მრევლია), და სხვადასხვა დენომინაციის პროტესტანტები.

28 ივლისის საღამოს ქართველ მომლოცველთა ოცდათორმეტკაციანი ჯგუფი მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს და გამორჩეულ ქალაქს ესტუმრა.

29 ივნისს, წმიდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ხსენების დღეს, ქართველ მომლოცველთა ჯგუფი სტამბულის ქართულ კათოლიკურ სავანეს ესტუმრა. ქალაქის ძველი უბნის ვიწრო ქუჩებში ჩვენი ავტობუსი ძლივს იკვლევდა გზას, ხშირად მოძრაობასაც აფერხებდა, მაგრამ, თბილისისგან განსხვავებით, აქ ჩვენგან „დაბლოკილ“ მძღოლებს არანაირი პროტესტი არ გამოუმჟღავნებიათ, პირიქით, თავაზიანად ცდილობდნენ დახმარების აღმოჩენას.

ფერიქოის უბანი, როცა იქ ქართველმა კათოლიკეებმა მონასტრის აგება გადაწყვიტეს და ნებართვისთვის სულთანს მიმართეს, სტამბულის განაპირა უბანს წარმოადგენდა. იგი იმ დროისათვის ევროპელთა დასახლების — პერას სიახლოვეს მდებარეობდა. ფერიქოის უბანში მიწის ნაკვეთი საკმაოდ ძვირია. ამიტომ ქართული სავანის შენარჩუნებას კიდევ ერთი რისკ-ფაქტორი ემატება.

სტამბულის ქართული მონასტრის დაარსების ინიციატორი, მისი სულისჩამდგმელი და პირველი წინამძღვარი ახალციხელი მღვდელი პეტრე ხარისჭირაშვილი გახლდათ. საქართველოდან კათოლიკეების განდევნის შემდგომ, მამა პეტრე იტალიაში მიემგზავრება. ერთხანს იგი ვენეციაში, წმ. ლაზარეს სომხურ-კათოლიკურ მონასტერში ბინავდება, სადაც ქართულ ენაზე სასულიერო წიგნების ბეჭდვას მიჰყოფს ხელს. 1861 წლის 10 თებერვალს, ვატიკანმა მამა პეტრეს ნება დართო, აეგო სტამბულში მონასტერი და სამშობლოდან დევნილ კათოლიკეებს დაეარსებინათ კონგრეგაცია, სადაც ქართული ენისა და ტიპიკონის გამოყენების საშუალება ექნებოდათ.

ქართველმა კათოლიკეებმა, იაკობ ზუბალაშვილის ფინანსური მხარდაჭერით, ააგეს ტაძარი ღვთისმშობლის უმანკო ჩასახვის სახელზე, ასევე, სამონასტრო შენობა. 1870 წლიდან აქვე ამოქმედდა სტამბა, რომელმაც 60 წელი იარსება და 200-მდე წიგნი გამოიცა ქართულ, ფრანგულ, თურქულ, გერმანულ, ინგლისურ, ბერძნულ ენებზე. მონასტერში იყო ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი. ამ ბიბლიოთეკის ფონდებში 80 ათასზე მეტი წიგნი და ისტორიული დოკუმენტია დაცული. ამ მონასტერში სხვადასხვა დროს აღიზარდნენ და განათლება მიიღეს მიხეილ თამარაშვილმა, დომენიკე პაწაძემ, ივანე გვარამაძემ, ანდრია წინამძღვრიშვილმა, კონსტანტინე საფარიშვილმა, შალვა ვარდიძემ, მიხეილ თარხნიშვილმა. სამწუხაროდ, საქართველოს გასაბჭოების შემდგომ, დაიკარგა კავშირები სტამბოლის ქართულ სავანესათან. 1920-იან წლებში მღვდელმა შიო ბათმანიშვილმა თხოვნით მიმართა საქართველოს იმჟამინდელ ხელმძღვანელს, ფილიპე მახარაძეს, რომ, სტამბოლის მონასტრის შენარჩუნების მიზნით, მისთვის ნება

დაერთო, საქართველოში აერჩია სასულიერო განათლების მიღების მსურველი მოზარდები და გაეგზავნათ სამონასტრო სკოლაში. ფ. მახარაძემ ნება დართო შიო ბათმანიშვილს და ეს სასიკეთო საქმე შესრულდებოდა, მაგრამ შინსახკომის მაშინდელმა შეფმა ლ. ბერიამ, რომელიც ფარულად დაპირისპირებული იყო მახარაძესთან, ჩაშალა ეს წამოწყება. მონასტერმა XX საუკუნის 60-იან წლებამდე იარსება, სანამ იქ კიდევ რჩებოდა ქართველი მღვდელმსახური. შემდგომ წლებიდან სავანეზე ზრუნვა სტამბულის კათოლიკე ქართველებმა ითავეს, და დღესაც, ბატონი სიმონ ზაზაძე ამ სავანის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელობით ცდილობს, უვნებლად შემოინახოს ის, რაც გადაურჩა პრობლემებით მძიმე წლებს.

სტამბულის ქართული მონასტერი იმთავითვე იქცა ოსმალეთის იმპერიაში გაბნეული მრავალრიცხოვანი ქართველების, როგორც კათოლიკეების, ასევე მართლმადიდებლებისა და მუსლიმების თავშესაფრად. მონასტრის მე-4 სართულზე მოწყობილი იყო სპეციალური სასტუმრო.

XX საუკუნის დასაწყისში ქართულმა მონასტერმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრის ფუნქციაც შეიძინა. ამ დროს შალვა ვარდიძის მიერ დაარსებულ „ქართველთა კლუბში“ იკრიბებოდა სტამბულის ქართველობა. მონასტერს ხშირად სტუმრობდნენ საქართველოდანაც, ზაქარია ჭიჭინაძე, ვახტანგ ღამბაშიძე, იასე რაჭველი, მიხეილ და ვლადიმერ წერეთლები, დავით ჩიქოვანი, მემედ აბაშიძე. 1910 წელს მონასტერში შეჩერდა საფრანგეთში მიმავალი აკაკი წერეთელი, რომელიც დიდ პატივს სცემდა და მეგობრობდა კათოლეკე მამებთან. სხვათა შორის, დიდი პოეტის დედას ქუთაისის კათოლიკურ სკოლაში ჰქონდა განათლება მიღებული, რასაც ყოველთვის დადებით კონტექსტში აღნიშნავდა აკაკი წერეთელი.

1921 წელს მონასტერს თავს აფარებდნენ მენშევიკური მთავრობის წევრები. 1924 წლის აჯანყების მომზადების დროსაც ქართველი პატრიოტები სტამბულის მონასტრის სტუმრები იყვნენ. შემდგომ სამშობლოსთან კარგა ხნით გაწყდა ყოველგვარი კავშირი, ვიდრე გასული საუკუნის 80-იან წლებში უმღვდლოდ დარჩენილ მონასტერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II არ ესტუმრა, რომელსაც მამა-შვილი სიმონ და პოლ ზაზაძეები უწევდნენ მასპინძლობას. ამ პერიოდიდან კვლავ გააქტიურდა სტამბულის ქართული კათოლიკური მონასტრის მშობლიურ ენაზე ამოქმედების საკითხი. მხოლოდ 21-ე საუკუნეში, მამა გაბრიელე ბრაგანტინის თაოსნობით, შესაძლებელი გახდა სტამბულის მონასტერში ქართულ ენაზე წმინდა წირვის აღვლენა, მაშინ როდესაც ერთხელ ქუთაისის, და მეორედ ბათუმის საკრებულოების წევრთა მომლოცველობა განხორციელდა.

1990 წელს, როდესაც პირველად ვიყავი ამ მონასტერში, კვირაში ერთ დღეს ფრანგულ ენაზე აღესრულებოდა წმ. წირვა. ამჟამადაც ასეა, წმ. სამების სტამბულის კათედრალის ფრანგი მღვდელი მამა ივ პლუმანი ყოველ კვირას ფრანგულ და თურქულ ენებზე ატარებს მსახურებას უმანკო ჩასახვის სახელზე აგებულ ქართულ კათოლიკურ ტაძარში. წირვებს სტამბულში მცხოვრები ქართველი, ასევე სომეხი კათოლიკეები ესწრებიან. დღეისათვის სტამბულში, დაუზუსტებელი მონაცემებით, ასიდან სამასამდე ქართველი კათოლიკე ცხოვრობს (Eglise Catholique en Turquie. Kazim 2007. p.12-16.).

ქართულ სავანეში მოსულ მომლოცველებს ბატონი ს. ზაზაძე გველოდებოდა, მცირე მისალმების შემდეგ, ტაძარში შევედით, სადაც მ. გაბრიელემ სადღესასწაულო წირვა აღასრულა. საღვთო მსახურების დროს მომლოცველთა მიერ აღვლენილი ლოცვები უმთავრესად სწორედ სტამბულის ტაძარს, მის მრევლსა და საქართველოს შეეხებოდა.

მსახურების დასრულების შემდგომ, საშუალება მოგვეცა, სრულად დაგვეთვალიერებინა ტაძარიცა და მისი მიმდებარე სავანის ოთხსართულიანი ნაგებობა, რომელიც ამჟამად უფუნქციოა და რესტავრაციასაც საჭიროებს.

პირველი, რაც განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს, უმანკო ჩასახვის ტაძრის საკურთხევლის უკანა კედლის გაფორმებაა. ეს ნამდვილად ეკუმენურობისა და ეროვნულობის შესანიშნავი სინთეზია. საკურთხევლის უკანა კედელზე, მარჯვენა მხარეს გამოსახულია სვეტიცხოვლის ტაძარი, როგორც სიმბოლო საქართველოსი, მარცხენა მხარეს კი — ბათუმის კათოლიკური ტაძარი, რაც ქართველ მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა ურღვევი კავშირისა და თურქეთში მყოფ ქართველთა სამშობლოსთან სულიერი კავშირის მანიშნებელია. საკურთხევლის უკანა კედლის ცენტრს ამშვენებს პოლონელ კათოლიკეთა საჩუქარი — ჩენსტეხოვოს ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი. ტაძრის კარიბჭის ორსავე მხარეს კედელზე გაკეთებული წარწერები მოკლედ გადმოგვცემენ ამ ტაძრის ისტორიას და აცოცხლებენ იქ მოღვაწე მღდველმსახურთა სახელებს.

ტაძრის ინტერიერიდან სპეციალური დერეფნით გავდივართ სავანის ნაგებობაში, სადაც თავის დროზე ცხოვრობდნენ ქართველი კათოლიკე სასულიერო პირები, რომელსაც სტუმრობდნენ 1921 წელს დევნილი საქართველოს მთავრობის წევრები, სა-

▶ 10 ბ.

დაც სტამბა და ბიბლიოთეკაა. ამჟამად შენობა დაკეტილია და ელის თავის მომავალ ბედს.

ვფიქრობთ, თურქეთში საქართველოს საელჩომ უნდა იზრუნოს ამ ძეგლის რესტავრაციისა და ფუნქციონირებისათვის. ამ ტაძრისა და სავანის დამფუძნებლების სურვილი იყო, რომ ეს კერა სრულიად საქართველოსთან სულიერი ხიდი ყოფილიყო. ეს სავანე ყოველთვის იყო ქართველ კათოლიკეთა, მართლმადიდებელთა და მუსლიმთა თავშეყრის ადგილი, და იგი ასეთადაც უნდა დარჩეს სამარადისოდ. სამწუხაროდ, ქართული სამოციქულო ეკლესიის სავანეები უცხოეთში ბერძნების მიერ იქნა მიტაცებული და მათ დაბრუნებაზე ოცნებაც კი ზედმეტია, მაგრამ ქართველ კათოლიკეთა სავანე რჩება ქართველთა კერად, ოღონდ მას საქართველოდან მეტი მხარდაჭერა სჭირდება.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მამა გაბრიელეს, რომელმაც მოახერხა და დაამკვიდრა სტამბულის სავანის მომლოცველობის ტრადიცია. ჩვენი ვალია, მიუხედავად კონფესიურობისა, წელიწადში ერთხელ მაინც მოვილოცოთ ეს ტაძარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება სავალალო შედეგებსაც ჰქონდეს ადგილი. ტაძარი სტამბულის ეპარქიის შემადგენლობაში მოქმედი ლათინური წესის საკრებულოს წარმოადენს, მაგრამ ქართული სულის შენარჩუნებისათვის აუცილებელია იქ ქართველი მრევლის ხშირი სტუმრობა და საქართველოს ხელისუფლების მიერ ფინანსური მხარდაჭერა. ქართველმა კათოლიკეებმაც უნდა იზრუნონ თავის ტაძარზე, ეროვნულმა ხელისუფლებამ კი კეთილი ინებოს და თავისი გასაკეთებელი მამულიშვილური საქმე გააკეთოს. ისე, სტამბულში მცხოვრებ ქართველ მართლმადიდებლებსაც თავისუფლად შეუძლიათ, ესტუმრონ ქართულ ტაძარს და იქ მშობლიურ ენაზე ილოცონ. ეს ბევრად უკეთესია, ვიდრე საერთოდ არ მოინახულონ ქრისტიანული ტაძარი. 29 ივნისს, საღამოს, ჩვენი დელეგაცია მიიღო სტამბულის, ანკარას და ბურსას დიოცეზის სამოციქულო მმართველმა, ეპისკოპოსმა ლუის პელატრემ. უკვე 10 წელია, რაც იგი ეპარქიას მართავს, სულ კი 40 წელია, რაც თურქეთში მსახურობს. სტამბულის ეპარქიული ცენტრი მდებარეობს XIX საუკუნეში აგებულ წმ. სამების სატაძრო კომპლექსში. ამ კათედრალში წლების მანძილზე მსახურობდა მომავალი პაპი იოანე XXIII. ასევე, ამ კათედრალს სტუმრობდა პაპი იოანე-პავლე II. ღირსშესანიშნავ მოვლენათა აღსანიშნავად, ტაძარს ამშვენებს დიდი რეფორმატორი და ნეტარად შერაცხული პაპების გრანდიოზული ფერწერული ტილოები.

ეპისკოპოსმა სიხარული გამოთქვა ქართველ მომლოცველთა სტუმრობის გამო, შემდეგ ვრცლად გვესაუბრა თურქეთში კათოლიკური ეკლესიის საქმიანობაზე. სტამბულში კათოლიკური მრევლი ყველაზე მრავალრიცხოვანია, ლათინური წესის გარდა, აქ სირიელი, ქალდეველი და სომეხი კათოლიკეებიც ცხოვრობენ.

სტამბულში მომლოცველობის მეორე დღე კულტურულ პროგრამას დაეთმო. მზია ჯანაშვილის ინიციატივით, ვესტუმრეთ წმ. სიბრძნის ტაძარს. ეს იყო მართლაც განუმეორებული შთაბეჭდილება, ამგვარი გრანდიოზული და მომნუსხველი სატაძრო შიდა სივრცე ალბათ არც ერთ სხვა მართლმადიდებლურ ტაძარს არ გააჩნია. აია სოფიას ტაძარს, უცხოელთა მსგავსად, თითქმის ყველა მუსლიმი სტუმრობს და პატივს მიაგებს ხუროთმოძღვრების ამ საოცრებას, რომელიც მართლაც მთელი კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობაა.

აია სოფიის ტაძრის მონახულების შემდეგ, მის მეტოქედ აგებულ ცისფერ მეჩეთსაც ვესტუმრეთ. წარმოუდგენელია, იყო სტამბულში და არ ესტუმრო არქეოლოგიურ მუზეუმს, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. აქ დაცულია ხეთური, ურარტუს, ასირიული, ელინური, რომაული, ბიზანტიური კულტურის ძეგლები. ასევე, სელჩუკური და ოტომანური თურქეთის ხელოვნებისა და ყოფის უნიკალური ძეგლები.

საღამოს პროგრამა მოიცავდა ბოსფორზე გემით გასეირნებას და ღამის სტამბულის დათვალიერებას, ასევე ვესტუმრეთ პერას უბანს და გენუელთა მიერ XII საუკუნეში აგებულ გალათასარაის კოშკს. მეორე დღეს კი მომლოცველთა ჯგუფი ტრაპიზონისკენ გაემართა.

ტრაპიზონი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის პროვინციის ცენტრს წარმოადგენს. ოტომანთა დროს იგი ვილაიეთის ცენტრი იყო, უფრო ადრე კი ტრაპიზონის იმპერია ქართველთა პოლიტიკური ჩარევის შედეგად ჩამოყალიბდა. კათოლიკური ტაძარი ტრაპიზონში, ისე როგორც თურქეთის მთელ ტერიტორიაზე, XIX საუკუნის 60-იან წლებშია აგებული. მართლმადიდებლური მოქმედი ტაძარი ტრაპიზონში არ არსებობს, ამიტომ კათოლიკური ტაძარი მთელი ქალაქის ქრისტიანების, მათ შორის, ქართველი მართლმადიდებლების და თურქი ქრისტიანების ერთადერთ სულიერ თავშესაფარს წარმოადგენს.

მას შემდეგ, რაც სამიოდე წლის წინ მოკლეს აქაური მოძღვარი, ტაძარს კვირაში ერთხელ სტუმრობს ანატოლიის ეპარქიის მორიგე მღვდელი. სულ კი ეპარქიაში 8 მოქმედი ტაძარი და კიდევ ორი საკრებულოა — კაპადოკიასა და ვანში. მუდმივად კი ტაძარს სამი რუმინელი კათოლიკე მოხალისე პატრონობს.

ტრაპიზონელთა განწყობა კათოლიკუ-

▶ 11 ᲒᲒ.

კონსტანტინოპოლის პატრიარქი ფოტიოს I

(გაგრძელება, დასაწყისი „საბა“ № 7)

ფოტიოსის მიერ რომში გაგზავნილი წერილი

ფოტიოსმა გადაწყვიტა, რომ მის წინააღმდეგ წარმოებული მოქმედებების შემდეგ, აღსაყდრების შესახებ წერილი გაეგზავნა სხვა პატრიარქებისადმი და, ასევე რომში, რადგანაც ოპოზიციური ვითარების გამო, აუცილებელი იყო „prima sedes“ მიერ ყოფილიყო აღიარებული. ზოგადად, როდესაც პატრიარქი ტახტზე ადიოდა, დანარჩენ ოთხ პატრიარქს სინოდი წერილს უგზავნიდა „ინტრონიზაციის“, ანუ აღსაყდრების დასადასტურებლად. ამას პასუხად უნდა მოჰყოლოდა საეკლესიო თანაზიარების მიერ ახლად არჩეულის აღიარება. პენტარქიის ძველი წესის მიხედვით, რომაული ტახტი პირველობას ინარჩუნებდა. ჩვენამდე მოაღწია ფოტიოსის მიერ წმიდა საყდრისთვის გაგზავნილმა წერილმა, რომელშიც ახლად არჩეული პატრიარქი ჩამოთვლის მთელ იმ ვალდებულებებს, რაც ამ დიდი პატივის გამო ეკისრება მას. ფოტიოსი წერილში არ ახსენებს მოვლენებს, რამაც მისი წინამორბედი აიძულა, უარი ეთქვა თავის ფუნქციებზე. წერილი, ჩვეულებრივ, სრულდება რწმენის აღიარებით, რითაც ახალარჩეული პატრიარქი ადასტურებს თავის ერთგულებას ძირითადი დოგმატური ჭეშმარიტებებისა და, განსაკუთრებით, „შვიდი კრების“, უპირველესად კი ნიკეას კრების, დეკრეტებისადმი. ფოტიოსის წერილში მინიშნებაც არაა რომაული კურიის მხრიდან კონსტანტინოპოლში დელეგაციის გაგზავნაზე, რომლის სინოდზე დასწრება იმ ქმედებებს აღკვეთდა, რასაც ჯერ კიდევ ეწეოდნენ წმიდა ხატების მოძულეები.

დელეგაციამ, რომელმაც დოკუმენტი რომში ჩაიტანა, პაპს, ნიკოლოზ I-ს ასევე წარუდგინა იმპერატორის წერილი, სადაც მიხეილ III სთხოვდა წმიდა მამას, რომ კონსტანტინოპოლში, კრებაზე დასასწრებად წარმოეგზავნა თავისი ლეგატები, რათა ხატმებრძოლეობის უკანასკნელი ნაშთები საბოლოოდ აღმოეფხვრათ. პაპმა მიიღო ფოტიოსის რწმუნებულები და თავისი ლეგატები გაგზავნა კონსტანტინოპოლს, თუმცა არა მხოლოდ კრებაში მონაწილეობის მისაღებად, არამედ იმისთვისაც, რომ გამოეკვლიათ ეგნატეს გადაყენების ნამდვილი მიზეზი და გამოეთხოვათ ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული ყველა აქტი.

პირველი პასუხი რომიდან

ამ დროისთვის, პაპ ნიკოლოზ I-ს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცხადებული თავისი ფუნქციების შესახებ საყოველთაო ეკლესიაში. თუმცა შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კურიამ თადარიგის გარეშე მიიღო პენტარქიის კონცეფცია, რაც წმიდა სამოციქულო საყდრის ტიტულოვან მფლობელს გამორჩეულად ანიჭებდა primus inter pares. ნიკოლოზ I-ისა და მისი მრჩევლებისთვის წმიდა საყდართან თანაზიარება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ სრული უფლებამოსილების მინიჭება არ უნდოდათ კონსტანტინოპოლისთვის, რადგანაც იქიდან წამოსული ახსნა-განმარტებები ეჭვს აღძრავდა. მით უფრო, რომ გადამდგარი პატრიარქის, ეგნატეს შესახებ არავითარი ინფორმაცია არ არსებობდა. ყველაზე დიდი, რაც შეიძლება გაკეთებულიყო, ეს თანაზიარების წერილის გაგზავნის გადავადება იყო. იგი მხოლოდ მას შემდეგ გაიგზავნებოდა, რაც სამოციქულო საყდრის წარმომადგენელთა მიერ ადგილობრივი გამოკითხვა ჩატარდებოდა. ამ მიზნით, კონსტანტინოპოლში ორი ლეგატი გაგზავნეს: პორტის ეპისკოპოსი — როდოალდო და ანანის (Anagni) ეპისკოპოსი — ზაქარია. ისინი უფლებამოსილნი იყვნენ, წმიდა ხატებთან დაკავშირებული საკითხები განეხილათ, მაგრამ, რაც შეეხება ეგნატესა და ფოტიოსის ისტორიას, მათი უფლებები აქ აშკარად შეზღუდული იყო. ლეგატებს ორი წერილი მიანდეს: ერთი იმპერატორისთვის და მეორე ფოტიოსისთვის. ამ უკანასკნელისადმი გაგზავნილი წერილი ძალზე მოკლე იყო და მხოლოდ წუხილს გამოხატავდა იმის გამო, რომ აღიარება მყისიერად ვერ მოხდებოდა, რადგანაც მისი, როგორც ნეოფიტის, ხელდასხმა პირველი შემთხვევა იყო. იმპერატორისადმი გაგზავნილ შედარებით ვრცელ წერილში სულ სხვა საკითხზე იყო ყურადღება გამახვილებული. წერილში ხაზგასმული იყო წმიდა საყდრის უფლებები. რადგანაც კრება ისე ჩატარდა, რომ გათვალისწინებული არ იყო პაპის უფლებამოსილება, მისი გადაწყვეტილებები ძალაში ვერ შევიდოდა და ეგნატეს გადაყენება კანონიერად ვერ ჩაითვლებოდა. თვით იმპერატორისგან გაგზავნილი წერილიც წარმოებული პროცედურის უწესრიგობას ამჟღავნებდა. რაც შეეხება ფოტიოსის არჩევას, არც ეს პროცედურა იყო მთლად რიგიანად შესრულებული, რაკიღა კანონი კრძალავდა „ნეოფიტის“ არჩევას. დასასრულს, წერილში ნახსენები იყო ბიზანტიის წინააღმდეგ საუკუნეზე მეტი ხნის წინ წარმოშობილი ბრალდება, რომელსაც საფუძვლად ლეონ იზაურელის დეკრეტი ედო. ამ დეკრეტით კალაბრიისა და სიცილიის მემკვიდრეობის კონფისკაცია ხდებოდა, რის გამოც რომის პატრიარქის უფლებები ილახებოდა. ამრიგად, პაპს უნდოდა, რომ კონსტანტინოპოლს იგი გადამწყვეტ ინსტანციად მიეჩნია, და შორეული წარსულის გახსენებით, იგი ძველი ქონების დაბრუნებას ითხოვდა, ანუ მაშინდელის, როცა აღმოსავლეთ ილირია მთლიანად რომის საპატრიარქო ტახტზე იყო დამოკიდებული, და როდესაც თესალონიკის ეპისკოპოსი პაპის ვიკარის როლს ასრულებდა „ეპირიის, ილირიის, მაკედონიის, თესალიის, აქაიის, ორივე დაკიისD(dacia ripensis (სანაპირო დაკია) და dacia mediterranea (ხმელთაშუა დაკია), მასიას (la Mesia), დარდანელისა და პრევალიტანიას (la Prevalitana)“ მიმართ.

რომის ლეგატები კონსტანტინოპოლში

კონსტანტინოპოლში არსებული სიტუაციის შესწავლის მიზნით წარგზავნილი რომაელი ლეგატები — როდოალდო და ზაქარია, მიადგნენ თუ არა ბოსფორის სანაპიროს, თავიანთი ძალაუფლების გამოყენებას შეუდგნენ: მიღებული ინსტრუქციის მიხედვით, მათ უნდა შეესწავლათ (ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ) ეგნატეს გადაყენებასთან დაკავშირებული ყოველი საკითხი; ისინი იკვლევდნენ თვით ცამეტი წლის წინანდელ არჩევნებს, რომის კურიისადმი დამოკიდებულებას გრიგორი ასვესტასთან დაპირისპირების დროს. ფოტიოსის მომხრეებმა დიდი წინდახედულობა გამოიჩინეს. მათ ლეგატები დაარწმუნეს, რომ შეეძლოთ, უფრო მეტიც, უნდა დაეკავებინათ გარკვეული პოზიცია სინოდის კრებაზე (კრება 861 წლის აპრილში გაიმართა იმპერატორის თავმჯდომარეობით, რომელსაც სამას ეპისკოპოსზე მეტი ესწრებოდა), რათა წმიდა სამოციქულო ეკლესიაში განეხილათ ეგნატეს საკითხი; ასევე, მასთან ერთად გადაეხედათ იმ ვითარებისთვის, რაც მისი არჩევის დროს სუფევდა; აქვე ეპისკოპოსს (ეგნატეს) უნდა ეღიარებინა, რომ საეპისკოპოსო ტახტზე მხოლოდ იმპერატრიცას პროტექციით იყო არჩეული. ეგნატე კარგად ხედავდა, თუ როგორ ამეტებდნენ პაპის მიერ გამოგზავნილი ლეგატები თავიანთ უფლებებსა და კომპეტენციას, რაზეც მან განაცხადა: „მე თქვენს მიერ არ უნდა განვისაჯო, რამეთუ ჩემს განსასჯელად როდი წარმოგგზავნეს“. დაარწმუნეს რა პაპის ლეგატები, რომ ეგნატე უკანონოდ იყო არჩეული, მისთვის პატრიარქის ტიტულის ჩამორთმევის უფლება მოიპოვეს. საბოლოოდ, მთელი ეს ფარსი ეგნატეს გადაყენების სენტენციით დასრულდა. ასე საჯაროდ იქნა დამცირებული ეგნატე. „დღეგრძელობა პაპ ნიკოლოზს; დღეგრძელობა ფოტიოსს, დღეგრძელობა რომაელ აპოკრისიარებს!“ — მსგავსი შეძახილებით კრების წევრებმა პატრიარქის შეცვლის პროცედურა წარმატებულად ჩათვალეს. აქვე სახალხოდ დაგმეს ხატმებრძოლეობა; თუმცა სინოდმა უარყო პაპის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც რომაული საყდარი უფლებამოსილი იყო, საეკლესიო კონტროლი დაეწესებინა ილირიაზე. სინოდი 861 წლის სექტემბერში დასრულდა. მოგვიანებით ისიც ითქვა, რომ შესაძლოა გაუგებრობის გამო ჩაერია რომის წმიდა საყდარი ადგილობრივი ეკლესიის კერძო საქმეში (თუნდაც კონსტანტინოპოლის ეკლესიაში), მაგრამ, ალბათ, რომის ეკლესია შესაფერის მომენტს ელოდა, რომ საკუთარი პატრიარქატის უფლება-მოვალეობები აღედგინა.

რომაელ ლეგატთა მისიის უარყოფა. რომის პროტესტი ფოტიოსისადმი

რომის ეკლესიის სინოდი 862 წლის მარტში შედგა, როდესაც პაპის ლეგატები ბიზანტიური საელჩოს თანხლებით რომში დაბრუნდნენ; პაპმა მოხსენება წარუდგინა მას ბიზანტიის საქმეებზე, წაიკითხა იმპერატორისა და ფოტიუსის წერილი, სავსე პირმოთნე გამოთქმებით, და ამასთან ერთად ლათინური ეკლესიისადმი ბრალდებებით, და უკანონოდ სცნო ეგნატეს განდევნა და ფოტიუსის არჩევა.

სინოდზე გაუქმდა ორი ლეგატის მიერ ეგნატეს წინააღმდეგ წარმოებული პროცედურა, რაც ფოტიოსს და იმპერატორს 18 მარტით დათარიღებულ წერილებში აუხსნეს. ფოტიოსისადმი გაგზავნილი წერილი პატრიარქის მიერ მოყვანილ მოტივაციებს სცემდა პასუხს, სადაც იგი თავს იმართლებდა პატრიარქის ტახტზე დაჩქარებული ასვლის გამო; წერილში ნათქვამი იყო, რომ „ნეოფიტების“ ასარჩევი კანონები აღმოსავლეთის ეკლესიაში არ იყო მიღებული; პაპმა ნიკოლოზმა თავის პასუხში მათ შეახსენა, რომ პეტრეს ვიკარის ტიტული და პრიმატის ავტორიტეტი მას უნივერსალურობას ანიჭებდა, რის გამოც მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს, თუნდაც რწმენის საკითხებში, ვერავინ აღუდგებოდა წინ. ფოტიოსის მიერ მოტანილი პრეცედენტები მოცემულ შემთხვევაში ვერ გამოდგებოდა. ამასთანავე, ახლად არჩეულს არა მხოლოდ მისი ნეოფიტობის გამო სჯიდნენ, არამედ იმიტომაც, რომ ვერ გაარკვიეს, იყო თუ არა თავისუფალი საპატრიარქო ტახტი, როდესაც მასზე ფოტიოსი დაჯდა. აი, რა იყო მთავარი პრობლემა. პაპი, რომელიც ინფორმირებული იყო, თითქოსდა მის წარმომადგენლებზე ზეწოლას ახორციელებდნენ, სანქციას ითხოვდა ბერძნულ კრებაზე. პაპი მანამ ვერ გაკიცხავდა ეგნატეს, სანამ ყველაფერს ნათელი არ მოეფინებოდა. თუმცა მაშინ, როდესაც კურიას ეჭვი ჰქონდა ახლად არჩეული პატრიარქის კანონიერებაში, აღმოსავლეთის სამივე პატრიარქისადმი გაგზავნილ წერილებში საუბარი იყო ფოტიოსზე, როგორც „შემოჭრილზე“, ავაზაკზე; სამოციქულო ტახტი ამ ბრალდებებს უარყოფდა. ახალ ბრძანებამდე და უფრო დეტალურ ინფორმაციამდე, რომი ეგნატეს ნამდვილ პატრიარქად აღიარებდა. სხვა საპატრიარქოებს თავიანთი პოზიცია სამოციქულო საყდრისთვის უნდა შეესაბამებინათ. მეორე ფაქტი კიდევ უფრო ართულებდა ფოტიოსის პოზიციას რომის საყდრის წინაშე. 862 წელს, რომში მოაღწია ეგნატეს სარჩელმა, რაც ძალზე დაგვიანებით გადმოიგზავნა არქიმანდრიტ თეოგნოსტოს მიერ. ეს უცნაური დოკუმენტი, ერთი შეხედვით „libelus“-ი, ეგნატეს სახელით იყო შედგენილი ათი მიტროპოლიტის, თხუთმეტი ეპისკოპოსისა და მრავალი ბერის მიერ; თუმცა ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ იგი ეგნატეს მიერ იყო შესრულებული, რამდენადაც განსაკუთრებულ მოწიწებას არ ამჟღავნებდა რომის სამოციქულო ტახტის მიმართ: წმიდა სამოციქულო ეკლესიაში, კრების წინაშე, მან საჯაროდ განაცხადა, რომ პაპისადმი განცხადება არ გაუკეთებია და არ ესმოდა, თუ რატომ ერეოდა რომი მის საქმეებში, მაშინ როცა libelus-ი ცხადჰყოფს, რომ გადაყენებულ პატრიარქს წინასწარ რომში რამდენიმე წერილი გაუგზავნია, რომლებიც დანიშნულების ადგილზე ვერ მოხვდა. თუმცა libelus-ი ფორმალური განცხადება იყო ეკლესიის უზენაესი იურისდიქციისადმი და დაწვრილებით აღწერდა იმ მიზეზებს, რამაც განაპირობა ეგნატეს გადაყენება. რომის კურია, პრობლემის ახალი ასპექტით ინფორმირებული, საქმიანი ღონისძიებების მიღებას შეეცადა.

863 წლის რომის კრება

863 წლის აპრილში რომში გამართული კრება, — რომელიც ჯერ წმ. პეტრეს ტაძარში მიმდინარეობდა, ხოლო შემდეგ კი ლატერანში, — მთელი ამ ისტორიით იყო დაკავებული. სამწუხაროდ, დღემდე არ მოუღწევია დისკუსიის ოქმებს; მხოლოდ ის ვიცით, რომ გასაჩივრდა კონსტანტინოპოლში ჩასული ორი ლეგატის მიერ შედგენილი აქტები; სულ ხუთი კონკრეტული პუნქტი მიიღო რომის კრებამ: პირველი ეხებოდა „ნეოფიტ“ ფოტიოსს, გადაყენებული ეპისკოპოსის მიერ დანიშნულს, ეგნატეს მტერსა და რომაელი ლეგატების მომსყიდველს. მას ყველანაირი ტიტული, სამღვდელო წოდება გაუუქმდებოდა და მსახურების უფლება ჩამოერთმეოდა, თუკი ანგარიშს არ გაუწევდა ამ გადაწყვეტილებას, და არ დაუბრუნებდა ეგნატეს თავის ტახტს, სხვა შემთხვევაში ანათემას გადასცემდნენ. მეორე პუნქტში აღნიშნული იყო, რომ ფოტიოსის მომხრეს, გრეგორი სირაკუზელს სამღვდელო მსახურების უფლება ჩამოერთმეოდა; მესამე, ფოტიოსის მიერ დანიშნულ

ყველა საეკლესიო მსახურს ღვთისმსახურების უფლება ჩამოერთმეოდა; მეოთხე პუნქტის მიხედვით, ეგნატე მთელ უფლებამოსილებას აღიდგენდა, გაუქმდებოდა მისი გადაყენების ბრძანება, და ვინც მის რეინტეგრაციას გააპროტესტებდა, მას საეკლესიო ცენზურა შეეხებოდა. მეოთხე პუნქტის საფუძველზე, რეინტეგრაციას დაექვემდებარებოდა ყველა ის საეკლესიო პირი, ვინც ეგნატეს ერთგულების გამო გააძევეს, ან ფუნქციები ჩამოართვეს.

865 წლის რომაული მემორანდუმი

ჩვენთვის უცნობია, თუ როდის და როგორ ეუწყა კონსტანტინოპოლს რომის 863 წლის კრების დეკრეტები, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, როგორი რეაქცია მოჰყვა ამას. რომის კურიის წესების თანახმად, რომელიც უკვე ფოტიოსს აღარ სცნობდა, იგი საპასუხო წერილს ვეღარ დაუბრუნებდა მას; ამიტომაც კრების გადაწყვეტილებები მხოლოდ იმპერატორისთვის უნდა ეცნობებინათ. ფოტიოსს ისღა დარჩენოდა, რომ გაჩუმებულიყო და იმპერატორისთვის გადაელოცა პასუხის მიწერის უფლება. იმპერატორის წერილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, თუმცა ცნობილია, რომ იგი რომის კურიამ შეაფასა, როგორც „ლანძღვა-გინებით სავსე“, და რასაც ნიკოლოზ I-მა 865 წლის 28 სექტემბრით დათარიღებული წერილით უპასუხა, სადაც იგი აპროტესტებდა იმპერატორის მიერ ლათინური ენის ველურ ენად წარმოჩენას. წერილში ცხადად იყო ხაზგასმული რომის ეკლესიის, როგორც „ყველა ეკლესიის პრიმატისა და მოძღვრის“ უფლებები, პაპის უზენაესობა ეკუმენური კრების წინაშე. თუკი 863 წლის რომის კრების გადაწყვეტილება საბოლოო ჩანდა, ახლა პირიქით იყო, ალბათ იმიტომ, რომ იმპერატორმა კურიას რამდენიმე ახალი ფაქტი გაუმჟღავნა; ეს წერილი ეგნატესა და ფოტიოსის საკითხით იწყებოდა და, თითქოს ყოველგვარი დასკვნის გარეშე, ორივეს პირადად, ან მათ რწმუნებულებს იწვევდა რომში ჩასასვლელად. წერილში ღიად იყო ნათქვამი, რომ მხედველობაში მიეღოთ შერიგების მცდელობა. მაშასადამე, მშვიდობა ჯერ კიდევ სუფევდა, ერთი მხრივ, იმპერატორსა და მის პატრიარქს შორის და, მეორე მხრივ, რომს შორის. თუმცა მოვლენები ისე არ მიმდინარეობდა, როგორც პაპი იმედოვნება. ამ პერიოდის წერილებში, იმპერატორ მიხეილ III-სა და ნიკოლოზ I-ს შორის, მკაცრი და მსუსხავი ტონის გარდა, ნათლად ჩანს რომსა და კონსტანტინოპოლს შორის თანდათანობითი გაუცხოება, რაც უკვე არა მარტო საეკლესიო დონეზეა შესამჩნევი, არამედ პოლიტიკურ და კულტურულ დონეზეც.

ფოტიოსი — II ნაწილი
კონსტანტინოპოლის მწვავე რეაქცია

მნიშვნელობა არ ჰქონდა, გაეცნო თუ არა პატრიარქი რომიდან 866 წლის 13 ნოემბერს გამოგზავნილ წერილს. ფაქტია, რომ ფოტიოსს არ ეამებოდა ანათემაზე გადაცემა და, განსაკუთრებით, ბულგარეთის საკითხში ლათინი მისიონერების ჩარევა. არ შეიძლება, აქ, თუნდაც მოკლედ, არ შევეხოთ ბულგარეთის თემის მნიშვნელობას.

ბულგარეთის საკითხი

863 წელი სლავებისთვის გადამწყვეტი გახლდათ მისიონერობის კუთხით, რადგანაც სწორედ მაშინ გაემგზავრნენ კირილე და მეთოდე დიდი მორავიის გასაქრისტიანებლად. VII საუკუნეში, როდესაც ბულგარეთის ახალბედა სახელმწიფო ბიზანტიის იმპერიის დასავლურ ნაწილს შეუერთდა, ბიზანტიის იმპერიას მეტი საშიშროება დაემუქრა; თუმცა, საბედნიეროდ, კრუმისა და ომურტაგის შემდეგ, ვითარება შეიცვალა: ეს ველური წარმართები, რომლებიც, მრავალგზის მცდელობის შემდეგ, „ღვთისაგან დაცული ქალაქის“ კედლებამდე მივიდნენ, ამჯერად სახარებას ეწაფებოდნენ. 852 წლიდან ბულგარეთს ხანი ბორისი მართავდა; ეს უკანასკნელი ყველაზე გონიერი და ალბათ ყველაზე რელიგიური აღმოჩნდა თავის ერში, რამეთუ კარგად გააცნობიერა, თუ რა იზოლირებულს ხდიდა წარმართობა ბულგარეთს, ქვეყანას, რომელიც ქრისტიანობის გზაზე შემდგარ მორავიას, გერმანიასა და ბიზანტიას (სახარების ოფიციალური წარმომადგენლის) შორის იყო მომწყვდეული; თავადაც უნდა გაქრისტიანებულიყო, თუკი სტეპებზე მცხოვრები მომთაბარე ტომების დონეზე დარჩენა არ სურდა; ასეთები იყვნენ მაგალითად: მაგიარები, ხაზარები, პეჩენეგები. მაგრამ ვისთვის ეთხოვა ბულგარეთს ევანგელიზაცია: ლათინებისთვის თუ ბიზანტიელთათვის? მომდევნო წელს ბულგარეთის ხანი ბორისი, მიხეილ III-ის მიერ მშვიდობის შეთავაზების სანაცვლოდ, ქრისტიანობაზე მოექცა. მას ნათლიად თავად იმპერატორი დაუდგა და ნათლობის სახელად თავისი სახელიც კი შეურჩია. წარმოუდგენელია, რომ ფოტიოსი, რომელიც მაშინ უკვე პატრიარქი იყო, გარდა ნათლობისა, სხვა მნიშვნელოვან მოვლენებში არ ჩარეულიყო; ბორისი დათანხმდა, მიეღო ბიზანტიური მისია, მაგრამ შემდგომ, 865 და 866 წლებში, მან დაჟინებით მოითხოვა, რომ ბულგარეთი ავტონომიური გამხდარიყო და საკუთარი პატრიარქი ჰყოლოდა, რომელიც ერთ დღესაც იმპერატორის გვირგვინს დაადგამდა. ბორისი უკვე ოცნებობდა მეფის ტახტზე: მაშინდელი ნორმების მიხედვით, მეფედ და იმპერატორად კურთხევა მხოლოდ დამოუკიდებელი საეკლესიო თავის მიერ იყო შესაძლებელი. ყოველივე ამან ბორისის სულში გადატრიალება მოახდინა: თუკი კონსტანტინოპოლს არ ანაღვლებდა ბულგარეთის ეკლესიის ავტოკეფალია, ცხადია, რომთან ამ საკითხის მოგვარება კიდევ უფრო რთული იქნებოდა. მაგრამ ფოტიოსის უარყოფითმა პასუხმა ბორისს გადააწყვეტინა, რომის პაპისთვის მიემართა იგივე თხოვნით, და თან ევანგელიზაციის შედეგად წამოჭრილი 106 საკითხი დაეყენებინა. 866 წლის აგვისტოს, ბორისის დესპანი მარადიულ ქალაქში ჩავიდა. რომის კურიისთვის უკვე აღარაფერი იყო უანგარო; ის წლების მანძილზე ოცნებობდა, თავის იურისდიქციაში მოექცია აღმოსავლეთ ილირია, რაზეც V საუკუნის დიდი პაპები თავიანთ საპატრიარქო უფლებებს აცხადებდნენ. სიმართლე ითქვას, ბულგარეთის ახალბედა სახელმწიფო, ანტიკური ილირიის აღმოსავლეთ საზღვრებს სცილდებოდა და თავის ჰორიზონტს თვით თრაკიის ანტიკურ „ეპარქიაზე“ შლიდა. ეს დიდად როდი ეჭაშნიკებოდა რომს, სადაც უკვე კონსტანტინოპოლის საეკლესიო ამბიციებზეც კი ჰქონდათ ეჭვები. როგორც კი ბორისის მიერ წარგზავნილები რომის კურიაში გამოცხადდნენ, არც ბიზანტიის იმპერიას, თავისი იმპერატორით, და არც ბერძნულ ეკლესიას, თავისი პატრიარქით, არ გასჭირვებია იმის მიხვედრა, თუ რა საშიშ სქიზმას მოასწავებდა ყოველივე ეს. ხომ არ აჯობებდა, რომ მათი (ბიზანტიის და საბერძნეთის) ზეგავლენისაგან ეხსნათ ეს ახალბედა ერი, სადაც სახარების პირველი მაუწყებელნი ლათინი მისიონერები იყვნენ? გადაწყდა, რომ დაუყოვნებლივ გაეცათ პასუხი ბორისის წინადადებებზე, და 866 წლის შემოდგომაზე შედგა მისია, ორი ეპისკოპოსის, ფორმოზო პორტოელისა (Formoso di Porto) და პავლე პოპულონიელის (Paolo di Populonia) მეთაურობით. ბულგარეთის ხელმწიფე გაოცებული დარჩა, როდესაც მრავალი, მისთვის კარდინალური მნიშვნელობის განსხვავება დაინახა ბერძნულსა და ლათინურ წესებს შორის; ამას კურია იმ განცხადებით პასუხობდა, რომ მხოლოდ რომს უნდა დამორჩილებოდა, და

რომ მაგალითად, ბერძნების ჯვრისწერის გარეგნულ ცერემონიალს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა; ასევე აკრიტიკებდნენ აღმოსავლურ კონცეფციას ეკლესიის შესახებ: პენტარქიული კონცეფციის გაზიარების ნაცვლად, მათ რომაული იდეისთვის უნდა დაეჭირათ მხარი, რომლის თანახმადაც საპატრიარქო ტახტი მხოლოდ რომში, აღექსანდრიასა და ანტიოქიაში უნდა მდგარიყო; კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის ავტორიტეტი კი უგულებელყოფილი იყო. რომის კურია სულაც არ ჩანდა უკმაყოფილო იმით, რომ შეიძლებოდა ყოველივე ამას ამ ორი ტრადიციის, ლათინურისა და ბერძნულის, კონფრონტაცია გამოეწვია. თუმცა, ღიად რჩებოდა ის პუნქტი, რაც ამ კანონიკურ კონტრასტებზე მეტად აწუხებდა ბორისს. როგორც ფოტიოსის, ასევე პაპის წინაშე, მან დამოუკიდებელი ბულგარული საპატრიარქოს დაარსების საკითხი წამოაყენა; ნიკოლოზ I-მა ამ წინადადების დაუყოვნებლივ მისაღებად ფოტიოსზე მეტად როდი გამოიჩინა მზადყოფნა; თუმცა, ეყო გამჭრიახობა, რომ ამ მოთხოვნაზე კატეგორიული უარი არ ეთქვა ბორისისთვის — როგორც კი შესაძლებლობა გაჩნდებოდა, ბულგარეთს პატრიარქი თუ არა, მთავარეპისკოპოსი მაინც ეყოლებოდა, ყველა იმ უფლებით აღჭურვილი, რაც იერარქიის დადგენას სჭირდებოდა. ასე რომ ბორისი რომში წაუსვლელადაც შეძლებდა, თავის ქვეყანაში თავადვე შეესრულებინა ხელდასხმა. ხოლო პალიუმის გადაცემა უკვე დასტური იქნებოდა იმისა, რომ მას სამოციქულო საყდართან იურიდიული კავშირი ჰქონდა. ბულგარეთს ყოველთვის უნდა მიემართა რომის ეკლესიისთვის, რამდენადაც მხოლოდ იგი იყო ჭეშმარიტი ქრისტიანობის დამცველი და ერთადერთი, რომელიც არასოდეს შემცდარა. თუკი რომაულ დირექტივებს გაყვებოდა, ბულგარეთი სწორ გზაზე დადგებოდა. ამასობაში კი რომიდან კიდევ ერთი დელეგაცია მიდიოდა, რომელსაც საერთო გზა უნდა მოეძებნა ფორმოზთან და პავლესთან, თუმცა შემდეგ, ბულგარეთში ჩამოსულები, ისინი კონსტანტინოპოლისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. დელეგაციას მეთაურობდა ოსტიის ეპისკოპოსი, დონატო, კარდინალი ლეონი და დიაკონი მარინო; მათ ხელთ არსებული დოკუმენტების რიცხვი და მათი მომლოცველობა იმაზე მეტყველებს, თუ როგორ ზრუნავდა კურია, თავის მხრივ, არავინ დარჩენილიყო გაურკვევლობაში. ამ გრძელ ტექსტებში ახალი არაფერია, მათში დასაბუთებულად არის ნაჩვენები კანონიკური არგუმენტები და წარსულის დოკუმენტები; ის, რაც ჩვენს მთავარ ყურადღებას იქცევს იმპერატორისადმი და „შემოჭრილი“ პატრიარქისადმი გაგზავნილ წერილებში, არის აშკარად კატეგორიული ტონი. მიხეილ III-ს ურჩევდნენ, ბოდიში მოეხადა და საჯაროდ დაეწვა 863 წლით დათარიღებული თავისი წერილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, „დასავლური საეპისკოპოს წინაშე ჩვენ საზეიმო ატმოსფეროში გადავცემთ ანათემას პასუხისმგებელ პირებს..“. ერთ-ერთი ასეთი ბრალდება, რაც შემდეგ ფოტიოსს წაუყენეს, გახლდათ ის, რომ მან გადაყენებული ეპისკოპოსის, ანუ გრეგორი ასვეტასგან მიიღო ხელდასხმა და თითქოს ეჭვქვეშ დააყენა სწორედ მისგან ხელდასხმის საფუძვლიანობა. ანასტასიუსის დეკლამაციებს ამ მკრეხელური რიტუალების წინააღმდეგ, — რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა პაროდია, მაშინვე ძლიერი გამოხმაურება მოჰყვა. ჩააღწია კი კონსტანტინოპოლში იმ საბუთმა, რაც ხელთ ჰქონდათ დონატოს, ლეონს და მარინოს? ეს დანამდვილებით არავინ იცის. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ბიზანტია-ბულგარეთის საზღვარზე რომაელი ლეგატები შეჩერდნენ, და რამდენადაც ვერ შეძლეს თავიანთი მისიის შესრულება, ბორისის სასახლეს მიადგნენ, სადაც იმ სასიხარულო შედეგების მომსწრენი გახდნენ, რაც ფორმოზმა და მისიანებმა მოიტანეს ბულგარეთში. სულ მალე ბერძენი მისიონერები უკან გაუშვეს. ლათინი მისიონერების წარმატებები ბორისისთვის შემაგულიანებელი იყო იმ მიზნით, რომ ფორმალურად მოეთხოვა, ერთ-ერთი მათგანი, ფორმოზ პორტოელი, ბულგარეთის არქიეპისკოპოსი გამხდარიყო, და რადგანაც იგი უკვე ხელდასხმული იყო, საჭირო აღარ იყო მისი იტალიაში წასვლა. ბორისი სწორედ ამის ახსნას აპირებდა რომისთვის 867 წლის ზაფხულში. თუმცა ნიკოლოზი სულაც არ ფიქრობდა ძველი წესიდან გადახვევას, რომელიც კრძალავდა ეპისკოპოსის გადაადგილებას ერთი ადგილიდან მეორეში; პორტოს ეპისკოპოსის ტიტულის მატარებელი ფორმოზი, ვერასოდეს გახდებოდა ბულგარეთის არქიეპისკოპოსი. სწორედ ამის შეგონებას ცდილობდნენ ბორისისთვის დელეგაციის წარმომადგენლები: ეპისკოპოსი დომენიკე ტრეველი და გრიმალდო პოლიმარცოელი. მას შეეძლო საკუთარი ერისთვის მთავარეპისკოპოსი იმ მღვდლებს შორის შეერჩია, რომლებიც მის გვერდით იყვნენ და რომში გაეგზავნა ხელდასასხმელად. ფორმოზ პორტოელი კონსტანტინოპოლში გაგზავნეს, რათა ახლოდან დაკვირვებოდა მოვლენათა მსვლელობას. რომაელი მისიონერების წარმატებებზე სერიოზულად შეფიქრიანდა ბიზანტიის ხელისუფლება და ახალ-ახალი უკუვერსიების შეთხზვა დაიწყო, რაც ფოტიოსსა და ეგნატეს შორის არსებულ დავას დაემატა. ფაქტობრივად, ბულგარელების წინადადებებზე გაცემულ პასუხებში ლათინები აკრიტიკებდნენ აღმოსავლურ ტრადიციებს; მათ მრწამსს დაამატეს ფილიოკვე. ყოველივე ამან ფოტიოსი წყობილებიდან გამოიყვანა. და მაინც, შიდა პოლიტიკური გარემოების გამო, კვლავ ლოდინს ამჯობინებდა, რადგანაც მისი პროტექტორი, ბარდა, 866 წლის აპრილში მოკლულ იქნა ბასილის მიერ, ვისაც სწყალობდა მიხეილ III და უკვე ყოვლისშემძლეობით სარგებლობდა წმიდა სასახლეში. მიუხედავად იმისა რომ ფოტიოსს ცუდი ურთიერთობა არ ჰქონდა ახალ პატრონთან — იგი ხომ ბასილის ინკორონაციის ცერემონიას ესწრებოდა, — ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჰორიზონტზე სირთულეები არ იკვეთებოდა. ასეა თუ ისე, პატრიარქის შეჩერება ვერაფერმა შეძლო და მან საქვეყნოდ პროტესტი გამოხატა რომაული „დაპყრობების“ მიმართ. ეს პროტესტი ენციკლიკის ფორმით გადმოსცა და სხვა აღმოსავლურ სატახტოებსაც დაუგზავნა, იმ მიზნით, რომ თვალი ახელოდათ ზოგიერთი განკიცხული ადამიანის საქციელზე, რომლებიც, ბნელეთის ქვეყნიდან, ანუ დასავლეთიდან ჩამოსულები, იმ იმედს კლავდნენ, რასაც ბულგარეთი უსახავდა ბიზანტიის საპატრიარქოს; გმობდნენ მათ დოგმატურ და დისციპლინარულ ინოვაციებს: შაბათის მარხვა, დიდმარხვის წინა კვირას რძის ნაწარმის დაშვება, საეკლესიო ცელიბატი, ეპისკოპოსთათვის მირონცხების აღსრულების გამორჩეული უფლება, და განსაკუთრებით, ფილიოკვე (მრწამსისთვის დამატება ფრაზისა ძისაგან სული წმიდის გამოსვლის თაობაზე). მაშასადამე, საჭირო გახდა, რომ მთელ აღმოსავლეთს გაეპროტესტებინა ეს ცდომილებები: კონსტანტინოპოლში შედგა კრება, რათა ოთხივე საპატრიარქოს საქვეყნოდ დაეგმო ეს ყოველივე, — როგორც ენციკლიკაში იყო დაწერილი, – რასაც სულ მოკლე ხანში გამოეხმაურა დასავლეთი, თანაც აქ უკვე დაღლილები იყვნენ მისი ტირანიით, ვინც რომში ძალაუფლებას ფლობდა. ამ ეპიზოდის გარდა, სადაც პირწმინდად არის ნაჩვენები განსხვავება რომაულ საყდარსა და მის საჭეთმპყრობელს შორის, როგორც მოგვიანებით იტყვიან, sedes ed il sedens (საყდარი და მესაყდრე), უეჭველია, რომ ფოტიოსის ენციკლიკა ყველა იმ წყენას და ბრალდებას აჯამებდა, რაც უკვე კარგა ხნის მანძილზე დაგროვდა ახალ რომში ანტიკური რომის წინააღმდეგ. მომდევნო საუკუნეებში ეს ენციკლიკა იქცა მთავარ არგუმენტად ყველა აღმოსავლელისთვის, ვინც კი პოლემიკა წამოიწყო წმიდა საყდართან; ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, მან ეპოქალური მნიშვნელობაც კი შეიძინა.

მოამზადა
მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

რი ეკლესიის მიმართ საკმაოდ თბილია. ნებისმიერი ადამიანი, თვით ქალაქგარეთ მცხოვრებიც კი, გულღია ღიმილით მიგასწავლის ამ ტაძრისკენ მიმავალ გზას.

ტაძარში მისულ ქართველ მომლოცველებს სიხარულით შემოგვეგებნენ რუმინელი მოხალისეები, გვაჩვენეს ჟურნალ „საბას“ ნომრები, ქართულ ენაზე გამოცემული ლოცვების კრებული.

სანამ ჩვენ ქართულ მისამღერებს ვარჩევდით, მამა პავლე დილი შეიმოსა და მაცხოვრის გულის სადღესასწაულო ლიტურგია ქართული გალობით დაიწყო. მამა პავლეს მიერ

ჩატარებული წმ. წირვაც ერთგვარად გამაერთიანებელი გამოდგა, რადგან, ქართულენოვანი წირვის წიგნის არარსებობის გამო, მსახურება პარალელურად პოლონურ და რუსულ ენებზეც მიმდინარეობდა. მსახურების შემდგომ, დავათვალიერეთ სატაძრო კომპლექსი.

ტრაპიზონის ტაძარსაც ნამდვილად სჭირდება თანადგომა საქართველოსაგან. ხშირი მომლოცველობა კი ერთ-ერთი აქტიური მხარდაჭერა იქნებოდა ტრაპიზონის მრევლისთვის. ტაძარში ყოველ კვირადღეს 11 საათზე აღესრულება წმ. წირვა და მასში თურქი კათოლიკეები, ქართველი მართლმადიდებლები და ქალაქის სტუმრები იღებენ მონაწილეობას.

1 ივლისს, საღამოს, ქართველ კათოლიკე მომლოცველთა ჯგუფი მშვიდობიანად და მდიდარი შთაბეჭდილებებით აღსავსე დაბრუნდა სამშობლოში. დარწმუნებული ვარ, ყოველ მომლოცველს დიდხანს გაჰყვება ამ ერთკვირიანი მგზავრობის შთაბეჭდილებები, განსაკუთრებით კი სტამბულის ქართულ სავანეში და ტრაპიზონის ტაძარში აღვლენილი სადღესასწაულო წმინდა წირვების მოგონება.

და ბოლოს, ყველას სახელით მინდა, მადლობა გადავუხადო მომლოცველობის ორგანიზატორს, მამა გაბრიელეს და იმედი გამოვთქვა, რომ თურქეთში მომლოცველობის ტრადიცია სისტემატურ ხასიათს მიიღებს და ქართველი მომლოცველები ხშირად ესტუმრებიან სტამბულის, სამსუნის, ტრაპიზონის, კაპადოკიის, ტაო-კლარჯეთის ტაძრებს. დამერწმუნეთ, ეს ორივე მხარისათვის ერთნაირად აუცილებელია. ასევე, იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოს მთავრობა გამონახავს რესურსს, რათა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს სტამბულის ქართულ სავანეს.

ნუგზარ ბარდაველიძე

ექვსი შეკითხვა ლოცვის შესახებ

2. შესაძლოა თუ არა ლოცვა ყოველგვარი სურვილის აღსასრულებლად?

ყოველგვარი სურვილის აღსასრულებლად ლოცვა შესაძლებელიცაა და შეუძლებელიც. თეორიულად, შეგვიძლია ვითხოვოთ ყველაფერი. იესომ გვითხრა: „მოითხოვეთ და მიიღებთ“. ოღონდ მას არ უთქვამს, თუ რას მივიღებთ და როდის... რა თქმა უნდა, უნაყოფო იქნება ლოცვა იმისათვის, რაც უზნეო და ბოროტია. ღმერთი არ დაგვეხმარება ცოდვათა ჩადენისას, რის გამოც ყველა შემთხვევაში იქნება ნამდვილი მკრეხელობა, ვითხოვოთ დახმარება ცოდვილი საქმისათვის.

იესო გვაჩვენებს სრულყოფილ, მისაბაძ დამოკიდებულებას თხოვნის ლოცვის მიმართ. მათეს სახარებაში (26:39) აღწერილია იესოს ყოფნა ზეთისხილის ბაღში მის დაპატიმრებამდე, გაროზგვამდე, ჯვარცმამდე და სიკვდილამდე. ამ დროის განმავლობაში, რომელსაც „ქრისტეს აგონია“ ეწოდა, იესო ლოცულობს იმგვარი ძალისხმევით, რომ მას სისხლიანი ოფლი სდის. საღმრთო წერილს მოჰყავს მისი სიტყვები: „მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, ამარიდე ეს სასმისი. მაგრამ არა როგორც მე მსურს, არამედ — როგორც შენ“. ეს ბოლო მონაკვეთი უთუოდ უნდა დავურთოთ ყველა ჩვენს ლოცვას. კათოლიკე ქრისტიანები უკან არ იხევენ, ითხოვონ ყველაფერი, რაც მათ საჭიროდ მიაჩნიათ, მაგრამ მათ ყოველთვის უნდა დაუმატონ იმგვარი პირობა, როგორიც იესომ დაურთო თავის ვედრებას: „მაგრამ არა ისე, როგორც მე მინდა, არამედ როგორც შენ გსურს“.

შეიძლება ვილოცოთ ლატარიაში ფულის მოსაგებად? ლოცვა იმისათვის, რათა წარმატებას მივაღწიოთ აზარტული თამაშისას, — იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პირობას დავდებთ, რომ მოგებულის ნაწილს ან მთლიან მოგებას შევწირავთ თუნდაც საქველმოქმედო საქმეს, ან თუნდაც ჩვენს ეკლესიას, — უპატივცემულობაა უფლის მიმართ. თამაშები თუ სპორტული შეჯიბრებანი გართობად უნდა დარჩეს და ისინი მეტი სხვა არაფერია! რაც შეეხება ლოცვას იმის გამო, რომ იმ გუნდმა, რომლის გულშემატკივარნიც ვართ, მოიპოვოს სუპერთასი ან გახდეს მსოფლიო ჩემპიონი, არ იქნება სწორი, ჯეროვანი ლოცვა. ღმერთი ამგვარ შემთხვევებში არ ემხრობა რომელიმე მხარეს. სამაგიეროდ, უნდა ვილოცოთ, რათა ყველამ კარგად ითამაშოს, რათა არავინ დაშავდეს, რათა თამაშისას საუკეთესო სპორტული თვისებები გამოვლინდეს, რათა მოთამაშენიც და მსაჯებიც წესიერნი და სამართლიანნი აღმოჩნდნენ.

ვის არ ულოცია გამოცდის, თუნდაც სკოლის გამოსაშვები გამოცდის წინ? არაფერია ცუდი იმაში, რომ ადამიანმა ილოცოს, რათა ჰქონდეს ნათელი გონება და შეძლოს, უკეთესად გამოავლინოს საკუთარი თავი. მაგრამ ლოცვა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს თავის დასაძვრენად სწავლისა და ბეჯითი გარჯისაგან. ღმერთმა ისევე მოგვანიჭა გონება, როგორც თავისუფალი ნება. მას სურს, რომ ჩვენ ვისარგებლოთ ერთითაც და მეორითაც.

მასალა მოამზადა
მერაბ ღაღანიძემ

საარქივო მასალები

იმერთა მეფეც სთხოვდა რუსის კარს ბესიკის პირით 1791 წელს, რომ რუსეთმა ახალციხეში კონსული დანიშნოსო, იქნებ ამით ჩვენს ქრისტიანებს რაიმე დახმარება აღმოუჩნდესო, მაგრამ ესეც არ შესრულდა. 1792 წელს პატრი ნიკოლა და პატრი ანდრიაც ითხოვდნენ ახალციხეში კონსულის დანიშვნას, მაგრამ მაინც ვერ მოხერხდა. პატრების აზრით ახალციხეში საფრანგეთის კონსულის დანიშვნა უფრო იმიტომ იყო საჭირო, რომ ქრისტიანთა დევნა შემცირებულიყო, განსაკუთრებით გათათრება. ათათრებდნენ ხშირად თვით პაპის მფარველობის ქვეშ შესულ კათოლიკეებსაც კი.

რაც ხანი გადიოდა, ჯავახეთში მოქართულე პატრების რიცხვი მრავლდებოდა. ამათი გამრავლება დიდად ადარდებდა სომეხ-კათოლიკეთა ხუცებს. ჯიბრით სომეხ-კათოლიკეთა ხუცები გრიგორიანელ სამღვდელოებას დაუახლოვდნენ, კათოლიკების ეკლესიები დაკეტეს, გასაღებები ეჩმიაძინის სინოდს გადასცეს და კინაღამ თვითონაც გრიგორიანულ ეკლესიას ჩაბარდნენ. ამ ამბებმა მრევლში დიდი ალიაქოთი ატეხა, მრევლი ორ ნაწილად გაიყო, ერთნი ითხოვდნენ ქართული წეს-რიგის მქონე პატრებს, რადგანაც ისინი ქართველები იყვნენ და მეორენი სომხის წეს-რიგის კათოლიკე მღვდლებს ითხოვდნენ, ესენი მზად იყვნენ გრიგორიანელებსაც კი შეერთებოდნენ. დიდი არევ-დარევა მოხდა ხალხში. მთავრობა ცუდად უმზერდა ამ საქმეებს, ამბოხების ბრალს პატრებს სდებდნენ. მთავრობა შეაშინეს, რომ პატრები ხალხს რევენო, ამიტომ ჯავახეთში მყოფი ქართველთ პატრები შეაგროვეს ერთად და წაიყვანეს დასაპატიმრებლად ძველის ძველ ქართველთა ბარდოსის ციხეში, ყარსის ახლოს, ერუშეთსა და ჩილდირის ხეობის შუა.

ჩილდირის ხეობაში გამაჰმადიანებულმა ქართველებმა დღევანდლამდე შეინახეს ქართული ენა, ამავე ხეობაში არის ბაგრატის დიდი ტაძარი, სადაც მიწერილია, რომ აქ ყოფილა 1795 წელს პატრი ბასილიო მანთოელო და 1808 წელს პატრი პოლიქარფო მანთოელო. რომის ლათინი პატრები იყვნენ მონანი ქრისტესი, ქრისტეს პატივისმცემელნი და ქრისტიანობის მაღიარებელნი.

ესენი ყველას თანასწორად ეპყრობოდნენ, რომის ეკლესიის წინაშე ქართველი და სომეხი ერთი იყო, იგი ყველას თავის ძედ აღიარებდა. ხოლო პატრებს არ მოსწონდათ კათოლიკეთაგან გვარტომობის შესახებ ბრძოლა და კამათი, ისინი ამას რომის საზარალოდ მიიჩნევდნენ. პატრები მართლ-მსაჯულებას ადგნენ, ისინი იცავდნენ ქართველობას, მათ ქართული ენა უფრო ემარჯვებოდათ შესასწავლად. არც პატრი ნიკოლა და არც სხვა პატრები აქ დამნაშავენი არაფერში არ იყვნენ.

პატრების დევნა, ეკლესიებში ქართული ენის მოსპობა, ეკლესიის კედლებზე ძველი ქართული წარწერების წაშლა ადრედგანვე შემოვიდა სომეხთაგან დასავლეთ საქართველოში. მათ თავისი ოსტატობით ბევრი შესანიშნავი ტაძარი დაიკავეს. ართვინის კათოლიკეთა ეკლესიაში დღემდე არის ძველი ქართველი ხელნაწერი სახარება, ხუცურად ნაწერი. სახარება შესანიშნავია პოლიოგრაფიის მხრით, მხატვრობით და არქეოლოგიის ნაწილით. ძვირფასი განძია. ქართული წიგნები იმიტომ ჰქონდათ ეკლესიებში, რომ ქართველი კათოლიკენი თავს ქართველებად სთვლიდნენ და დედაენად ქართულს აღიარებდნენ. ძველად პატრები არამც თუ მხედრულს ქართულს სწავლობდნენ, არამედ ძველ ხუცურსაც კი, დღეს კი ართვინში ქართული ენა აღარავის ახსოვს. მოგეხსენებათ, რომ ართვინი ქართველების ძველი ქალაქია „ართვანი“ ქრისტემდე დაარსებული.

მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა დასავლეთ საქართველო დაიკავა, ქართველებსაც დაუწყო დევნა, სიტყვა ქართველიც კი აკრძალეს. ვისაც ჰკითხავდნენ გვარტომობას, იმას ქართველობა უნდა დაემალა. პატივცემულმა ქართველ-კათოლიკეთ მოძღვარმა ივანე გვარამაძემ დასაბუთებით აგვიწერა ეს სამწუხარო მოვლენა. ამიტომ ქართველი-კათოლიკები ზოგი თავს სომხად აღიარებდა, ზოგი კი ფრანგად. ასეთივე აზრი წარმოსთქვა პატივცემულმა ქართველმა პატრმა ისხანოვმა, კონსტანტინეპოლის ქართველ-კათოლიკეთა მონასტრის წინამძღვარმა. ოსმალები არც ბერძნის ეკლესიის მაღიარებელთ და არც რომის ქართველ-კათოლიკეთ ქართველად წოდების ნებას არ აძლევდნენო. ამ გარემოებამ გამოიწვია ქართველ-კათოლიკეებში გვარების გადაკეთებაც კი.

ქართველები თავის ეროვნებას კარგავდნენ და ამ მოვლენას მხოლოდ რომიდან მოსული პატრები ეწინააღმდეგებოდნენ. პატრების დაპატიმრების ცნობები მალე რომში წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ჯავახეთში გამოცხადდა სომეხი ხუცების განდევნაც. ეკლესიები დაკეტეს და გასაღებები ეჩმიაძინს გადასცეს! ხალხი ორად გაიყო, ზოგი პატრების განთავისუფლებას ითხოვდა, ზოგი კი სომეხი ხუცების დაბრუნებას. სომხის ხუცები მალე განთავისუფლდნენ და ჯავახეთში დაბრუნდნენ.

ამავე დროს, სტამბოლიდან ჯავახეთში მოვიდა ერთი თათრის ფაშა და თან მოიტანა საფრანგეთის ელჩის ფრანსიოზეს ბრძანება პატრების განთავისუფლების შესახებ. პატრები მალე გაანთავისუფლეს ბარდოსის ციხიდან. სწორედ პატრების წინააღმდეგობის გამო მოხდა, რომ სომეხი-კათოლიკე ხუცები ვერ შეუერთდნენ გრიგორიანელებს.

წიგნიდან, პატრი ნიკოლა, როგორც ექიმი მის დროის ქართველ კათოლიკენი საქართველოში.
ავტორი ზაქარია ჭიჭინაძე.
თბილისი. სტამბა ექვთიმე ხელაძისა
(მოამზადა გია როსტომაშვილმა)

სტალინი და ანაფორიანთა ჰოლოკოსტი

„სტალინის 1937-38 წლების „დიდი ტერორი“ ალბათ არ გულისხმობდა გენოციდს ტექნიკური თვალსაზრისით, ყოველ შემთხვევაში, იმ ვიწრო დეფინიციით, როგორც ეს განსაზღვრა გაერომ, ნაწილობრივ, თავად საბჭოეთის რეპრესიის გამო. მაგრამ, ალბათ, უნდა ითქვას, რომ ეს იყო გენოციდი სამღვდელოების მიმართ“, – ასე ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება ფრანგმა ისტორიკოსმა ნიოლას ვერზმა, წარმოშობით რუსმა, იმ მრავალ საერთაშორისო სპეციალისტთა წინაშე, რომლებიც ყოფილ საბჭოთა სამყაროში ძალადობის პოლიტიკაზე მსჯელობდნენ. მისი მოსაზრებები საბჭოეთის არქივებში ხანგრძლივ პიონერულ კვლევა-ძიებაზეა დამყარებული.

პროფესორო ვერზი, რა მასალები შეარჩიეთ იმისათვის, რომ მოგეძიათ კულმინაციური ფაქტები სტალინის რეპრესიებზე?

ძირითადი კლასიკური კვლევის აქცენტს 1937-38 წლებში თავად პარტიის შიგნით განხორციელებულ წმენდაზე აკეთებდნენ. მე, პირადად, ვარჩიე, რომ შევჩერებულიყავი დიდი ტერორის ყველაზე დაფარულ სახეზე, ანუ საიდუმლო მასიურ ოპერაციებზე. საუბარია სოციალური ინჟინერიის უზარმაზარ ფაქტებზე. თითქმის 16 თვის მანძილზე დაპატიმრებულ იქნა მილიონ-ნახევარი ადამიანი, ხოლო რვაასი ათასი დევნილი იყო.

სადამდე იყო არქივები ხელმისაწვდომი?

უპირველესად, ხელმისაწვდომი გახდა ყველაფერი, რაც მთელი საზოგადოების, და არა მხოლოდ გარკვეული ელიტის, „პროფილაქტიკური წმენდის“ რეალურ პროცესს ეხებოდა. ეს იყო უკიდურესი წერტილი იმ ზომებისა, რასაც ჯერ კიდევ ლენინის ეპოქაში იღებდნენ. საჭირო იყო საბჭოთა სამყაროს განწმენდა ყოველგვარი რეალური ან პოტენციური მოწინააღმდეგისგან, ვინც არ იზიარებდა ერთი მთლიანი და ახალი საზოგადოების აზრს.

თქვენ ყურადღებას ამახვილებთ ერთი ნასვამი რკინიგზელის ბედზე, რომელიც ტერორისტის სტატუსით იქნა ამ სისტემის მიერ დასჯილი. ეს სამაგალითოა?

დიახ, რადგანაც ეს ფაქტი აჩვენებს, რომ ,,რეპრესიულ მანქანას“ აკვიატებულ მიზნად ექცა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დაეჭირა ადამიანები. რიგითი პოლიცია მიზანში იღებდა სრულიად შემთხვევით ადამიანებს, პირველივე შემხვედრს. საჭირო იყო ბრალდებულის მოძებნა. სიმთვრალეც რამდენიმე დღეში შეიძლება ექციათ ტერორიზმად.

ვინ წყვეტდა ამას?

ოპერაციები სტალინის ბრძანებით სრულდებოდა, ხოლო ეჭვმიტანილების რიცხვზე ინფორმაციას რეგიონალური მეთაურები იძლეოდნენ. მთავარი სტალინისა და პოლიციის თავის, ეჟოვის რეპრესიებით გამოწვეული ბოროტი დინამიკა იყო. მრავალი ადგილობრივი პასუხისმგებელი პირი ცდილობდა, დაესწრო და თავის ხელმძღვანელებზე ადრე მიეტანა მოთხოვნები, რადგანაც, არასაკმარისი შედეგების შემთხვევაში, მათ დაიჭერდენ.

ადგილობრივი ფუნქციონერები ხშირად ცვლიდნენ რეალურ ციფრებს, და რა მიზნით?

სამწუხაროდ, არასდროს სიცოცხლის გადარჩენის მიზნით. ზოგადად, ოპერაციები სრულდებოდა იმაზე მეტი ადამიანის დაპატიმრებით, რაც გათვალისწინებული იყო, და არა პირიქით. ციფრების შეცვლას, უწინარესად, პატიმართა სოციალური წარმოშობა განაპირობებდა, ცდილობდნენ, ყველაფერი ისეთ ჩარჩოებში მოექციათ, როგორც ცენტრი მოითხოვდა.

ვინ ჰყავდა რეჟიმს უპირატესად ამოღებული მიზანში?

პირველ რიგში, მღვდელმსახურები. 90% ბერ-მონაზონებისა დააპატიმრეს და გაასამართლეს. უნდა გავითვალისწინოთ სოციალისტური პარტიის ყოფილი წევრების, ბოლშევიკების ძირითადი მოქიშპეების, ტროცსკიტების არსებობაც. დაცხრილეს ასევე რიგითი დამნაშავეები და გარიყულები, რომლებსაც „ასოციალურ“ კატეგორიას აკუთვნებდნენ, ანუ აქ ერთგვარ ნაცისტურ ანალოგიასთან გვქონდა საქმე. შემდეგ იყვნენ ე.წ. „წარსულის ხალხი“, ანუ ცარისტული ეპოქის ელიტა. მიზანში ამოღებული ჰყავდათ ასევე კულაკები, კოლექტივიზაციის მოწინააღმდეგე გლეხები, რომლებსაც ხშირად ასახლებდნენ. ასევე, ხდებოდა საზღვრისპირა რაიონებში მცხოვრებ პოლონელთა ეთნიკური წმენდა. სტალინმა ევროპაში გაჩაღებული ომის სუსხი რომ შეიგრძნო, ყველა ეს კატეგორია მტრების, ჯაშუშების, დაუმორჩილებლების „მეხუთე კოლონის“ პოტენციურ წევრებად ჩათვალა.

შეიძლება ვისაუბროთ სამღვდელოების ტოტალური განადგურების მცდელობაზე?

სწორედ ასე იყო. სხვადასხვა ტექსტები მიანიშნებენ იმ სურვილზე, რომ ერთხელ და სამუდამოდ გასწორებოდნენ საეკლესიო მსახურებს. პარადოქსულია ისიც, რომ, პროპაგანდის მიერ „პატრიოტულ ომად“ მონათლული, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, სტალინი შეეცდება დარჩენილ სამღვდელო პირთა 10% -ის მანიპულირებას საკუთარი მიზნების განსახორციელებლად.

როგორ მომწიფდა სამღვდელოთა წინააღმდეგ მიმართული ამგვარი რადიკალური რეპრესია?

სტალინი ძალზე გაოცებული დარჩა 1937 წლის აღწერის შედეგით, სადაც მოსახლეობის 57% თავს მორწმუნედ ასაღებდა. ალბათ, ვერ ვიტყვით, რომ ეკლესია პირდაპირ საშიშროებას წარმოადგენდა რეჟიმისთვის, მაგრამ სტალინმა ის აღიქვა, როგორც უკანასკნელი სტრუქტურა, ცენტრთან შედარებით, ავტონომიურად ორგანიზებული.

დღევანდელ რუსეთს აქვს წარსულის გახსენების სურვილი?

ვერ ვიტყვი, რომ ამ მხრივ სულს უხუთავენ ხალხს. სასკოლო სახელმძღვანელოებში ისტორიის ამ ბნელ ფურცლებს არ აშუქებენ, ცდილობენ, თავი აარიდონ მას. ზოგადად, სტალინიზმი უფრო მეტად პოზიტიურად და რუსული მოდერნიზაციის მნიშვნელოვან ეტაპად არის შეფასებული, და ივიწყებენ ამ მოჩვენებითი მოდერნიზაციის საფასურს.

თბილისში ქართული წიგნის მაღაზიის ისტორიიდან

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა; წარმართობის ხანიდან მოყოლებული, ეპიგრაფიკული ძეგლებისა თუ ხელნაწერების სახით იქმნებოდა ქართული მწიგნობრობის მატიანე. მიუხედავად ამისა, ჩვენში ნაბეჭდი ქართული წიგნის ისტორია სათავეს იღებს მოგვიანებით, XVII საუკუნიდან, როცა 1629 წელს იტალიაში, რომში, კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების „პროპაგანდა ფიდეს“ თაოსნობითა და კათოლიკე მისიონერების უშუალო მონაწილეობით დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნები: „ქართული ანბანი ლოცვებითურთ““ „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ლოცვა ღვთისმშობლისადმი“. ამ უმნიშვნელოვანესმა მოვლენამ სასიკეთო ბიძგი მისცა საქართველოში მწიგნობრობის შემდგომ განვითარებას — 1709 წელს ჩვენშიც დაარსდა ქართული სტამბა და დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა.

ზეპირი გადმოცემების მიხედვით, თბილისში მე-19 საუკუნემდეც არსებულა წიგნის მაღაზიები. 1800-იანი წლების დასაწყისიდან კიდევ უფრო გაიზარდა მათი რიცხვი. მაგალითად: 1805 წელს გახსნილა მაღაზია სიონის ქუჩაზე; 1819 წელს — იარმუკაზედ, 1929 წელს — ქაშუეთის ეკლესიის ახლოს (სოლომონ დოდაშვილის თაოსნობით); 1836 წელს — სოლოლაკში (ავეტიქა ეფენჯიანცისა); 1850 წელს — ერევნის მოედანზე (ბერენშტამისა); 1860 წელს — ალადათოვისა; 1865 წელს — მიხაილოვის ხიდზე (ვართანოვისა და გრიქუროვისა), 1873 წელს — ისევ მიხაილოვის ხიდზე (გრიქუროვისა)...

ირკვევა, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებამდე თბილისში არსებული წიგნის მაღაზიების მეპატრონენი ძირითადად იყვნენ არაქართველები, ამდენად, ისინი სათანადო ყურადღებას არ იჩენდნენ ქართული წიგნის მიმართ; მეტიც: ქართული ენისა და ქართული წერა-კითხვის არმცოდნე მაღაზიის მეპატრონენი თუ გამყიდველები მთხოვნელს მაშინაც ეუბნებოდნენ უარს, როცა თაროზე თითოოროლა ქართული წიგნი მაინც იდო. „ყველა იმ მაღაზიებში ქართულ წიგნებს ძლიერ გულგრილად უმზერდნენ“, ასეთ მაღაზიებში არ ყოფილა ვინმე გამგე ქართული მწიგნობრობის აღორძინების გულშემატკივარი.

ამ მხრივ შედარებით კარგი ვითარება იგრძნობოდა ვართანოვ-გრიქუროვის მაღაზიაში. აქ მრავლად მოიპოვებოდა ქართული წიგნებიც. მეპატრონენი სახელმძღვანელოებსაც ბეჭდავდნენ ქართულ და სომხურ ენებზე. გარდა ამისა, ამ მაღაზიის ფირმის დახმარებით გამოსცეს „ქართულის ზღაპარსიტყვაობის „ყარამანიანის“ გამომცემლებმაც თავიანთი „ყარამანიანის“ ცამეტნაირი კარი წიგნებისა“.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში თბილისში არსებობდა კათოლიკე პეტრე უმიკაშვილის წიგნის პატარა მაღაზიაც. როცა 1870 წელს ვართანოვი და გრიქუროვი გაიყარნენ, უმიკაშვილის მაღაზიას უყიდია ვართანოვის წილი წიგნები, მათ შორის „ყარამანიანის“ 60 ათასი ცალი და შემდეგ ისინი დაუყიდია ქართლში, კახეთსა და იმერეთში.

მიუხედავად ამ ერთეული გამონაკლისებისა, რუსეთის ხელისუფლების დროს ქართული წიგნის გამოცემა-გაყიდვის არასახარბიელო მდგომარეობა და სიძნელე აშკარად შესამჩნევი იყო. პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მამულიშვილები, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართული წიგნების, ჟურნალ-გაზეთების გამოცემასა და მათს მიტანას ქართველ მკითხველამდე, აუცილებლობად მიიჩნევდნენ, დაარსებულიყო ქართული წიგნის დამოუკიდებელი მაღაზია, რომელიც იმავდროულად იზრუნებდა წიგნების გამოცემაზეც.

ქრონოლოგიურად პირველი ქართული წიგნის მაღაზია თბილისში, ხიდის ყურზე, დააარსა არსენ კალანდაძემ. იგი ბავშვობისას ჩამოუყვანიათ გურიიდან თბილისში და შეგირდად მიუბარებიათ კავკასიის მთავარმართებლის სტამბაში; აქ კარგად შეუსწავლია პოლიგრაფიული საქმე, გაუცვნია ქართველი მოღვაწეები.

პეტრე უმიკაშვილის რჩევით, არსენმა 1873 წელს დაიწყო იაფფასიანი წიგნების ბეჭდვა და გავრცელება; გახსნა ქართული წიგნის მაღაზიაც, საიდანაც გადიოდა თურმე მთავრობისათვის მიუღებელი წიგნებიც, ამის გამო არსენ კალანდაძე 1874 წელს დააპატიმრეს და მაღაზიაც დაუკეტეს.

ქართული წიგნის მაღაზიის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრიგოლ ჩარკვიანის ღვაწლი, მისი მაღაზიის საქმიანობა.

გრიგოლ ჩარკვიანმა განიზრახა ქართული წიგნის მაღაზიის გახსნა, რათა ერთად შეეკრიბა ქართული ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნები და ამ გზით უფრო ხელმისაწვდომი გაეხადა ქართველი მკითხველისათვის; გარდა ამისა,

ხანდახან კიდეც უნდა გამოეცათ ქართული სახალხო წიგნები (იაფფასიანი, ღარიბთა დასახმარებლად განკუთვნილი). მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ქართული წიგნის მაღაზიის გახსნის ნებართვის აღება ძნელი იყო, გრიგოლმა მაინც გაბედა და თხოვნით მიმართა მთავრობას, მაგრამ პასუხად უარი მიიღო. მაშინ, იაკობ გოგებაშვილის რჩევით, გრიგოლმა ამ საქმეში დახმარება სთხოვა ილია ჭავჭავაძეს (რომლის ქვისლი იყო მთავარმართებლის ხელქვეითი მმართველი სტაროსელსკი). მხოლოდ ამ გზით გახდა შესაძლებელი, ხელისუფლებას 1878 წლის 10 მარტს გრიგოლ ჩარკვიანის სახელზე გაეცა ქართული წიგნის მაღაზიის დაარსების ნებართვა.

1878 წლის ივლისში გრიგოლ ჩარკვიანმა და ზაქარია ჭიჭინაძემ ქაშუეთის ეკლესიის მამულში გახსნეს ახალი მაღაზია, რომელსაც გარედან ქართულად ეწერა: „ქართული წიგნის მაღაზია გრიგორ ვასილის ძე ჩარკვიანისა“.



ნიკიფორე ირბახი

მაღაზიის ყოველდღიურ საქმიანობას ძირითადად უძღვებოდა ზაქარია ჭიჭინაძე. ფაქტობრივად იგი იყო გამყიდველიც და წიგნების შემგროვებელიც (გრიგოლი სხვაგანაც მუშაობდა და არ შეეძლო მთელი დრო დაეთმო მაღაზიისათვის).

მეპატრონეებმა მაღაზია მალე შეავსეს ქართული წიგნების ძველი და ახალი გამოცემებით, ჟურნალ-გაზეთებით. აქვე იყო ძველი ქართული ხელნაწერი წიგნებიც, მათში ზოგი პერგამენტზე ნაწერი (საკუთარი ოჯახებიდან მოტანილი).

მაღაზიის გახსნას მაშინდელი ქართული გაზეთები „დროება“ და „ივერია“ დიდი სიხარულით გამოეხმაურა, ამ სასიკეთო წამოწყებას მოწონებით შეხვდა აგრეთვე თბილისის ინტელიგენცია, მთელი ქართველი ერი. აქ ხშირად დადიოდნენ ცნობილი მწერლები, პოეტები, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელნი: დიმიტრი ბაქრაძე, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, რაფიელ ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, სერგეი მესხი, ნიკოლოზ ღოღობერიძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. ეს მაღაზია მალე იქცა მწერლებისა და მოღვაწეების თავშეყრის ადგილად; მსჯელობდნენ ქართული მწერლობის აღორძინებაზე, ეროვნულ საკითხებზე. მათი სჯა-ბაასი, ზოგჯერ კამათიც კი დილიდან ღამის ათ საათამდე (ხან უფრო გვიანობამდეც) გასტანდა თურმე.

წიგნის მაღაზიამ მთელ თბილისში ისე გაითქვა სახელი, რომ იგი მოინახულეს გრიგოლ ორბელიანმა, ლევან მელიქიშვილმა, გიორგი სიმონის ძე ერისთავმა (გრ. ორბელიანმა ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ქართული წიგნის მაღაზია გაიხსნაო). „ხშირად მობრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზი, რომელიც აღტაცებული იყო ქართული წიგნების ბეჭდვისა და აღორძინების საქმეებით“.

წიგნის მაღაზიას აგრეთვე ეწვეოდნენ ხოლმე ახალგაზრდებიც — სემინარიის, გიმნაზიისა და სკოლების მოსწავლეები, განსაკუთრებით კი — ვაჟა ფშაველა („ვაჟა ფშაველას ბინა თითქმის აქ იყო“). ამ მაღაზიით სარგებლობდნენ მუშები, ხელოსნები, შეგირდები; თბილისში მცხოვრები ვაჭრები, მოქალაქენი. ვისაც რაიმე ძველი წიგნი ან ჟურნალი დასჭირდებოდა, მიაკითხავდა მაღაზიას, საიდანაც ზოგჯერ სახლშიც ატანდნენ საკითხავად მასალებს.

აღსანიშნავია, რომ 1870-იანი წლების ბოლოდან წინ წასულა ქართული წიგნის გამოცემის საქმეც. ჯერ კიდევ წიგნის მაღაზიის გახსნამდე გრ. ჩარკვიანმა გამოსცა ცალკე წიგნებად გრ. რჩეულიშვილის ისტორიული რომანი „თამარ ბატონიშვილი“ (1875), „ქართული სიმღერები ნოტებზედ გადატანილი“ (1878).

1880 წელს გრ. ჩარკვიანმა არსენ კალანდაძესთან ერთად დააარსა სტამბაც და უფრო აქტიურად დაიწყო საგამომცემლო საქმიანობა. 1881 წელს მან გამოსცა კედლისა და ჯიბის კალენდარი, რაც პირველი მაგალითი იყო ქართველებში. გრ. ჩარკვიანის დამსახურება იყო ისიც, რომ ჩამოაყალიბა ქართული წიგნების გამომცემელი ამხანაგობა და მრავალი წლის მანძილზე ეს საქმე თბილისის მასშტაბით კიდევ უფრო გააფართოვა და ნაყოფიერი გახადა.

ქართული წიგნის მაღაზიას, რომელსაც 1880-იანი წლებიდან პატრონობდნენ ზაქარია ჭიჭინაძე და ანთიმოზ ჯუღელი, XX საუკუნის დასაწყისშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, არ შეუწყვეტია ეროვნულ საქმეზე ზრუნვა და გულშემატკივრობა.

ჟუჟუნა ფეიქრიშვილი

(გამოყენებულია ზ. ჭიჭინაძის წერილები: „თბილისში წიგნის მაღაზიების დაარსება 1805 წლიდამ 1878 წლამდის“ (გაზ. „ქართული წიგნი“, 2002, №2, გვ.8); „ქართული მწიგნობრობის ისტორიიდამ. გრიგორ ვასილის ძე ჩარკვიანი“,. თბ. 1919 წ.).

ბერეტი სასულიერო პირთათვის განკუთვნილი თავსაბურავი, რომლის წარმოშობაც მსვლელობათა და საგუნდო მსახურების დროს სიცივისაგან თავის დაცვის აუცილებლობამ განაპირობა. გამოიყენება X საუკუნიდან. ამჟამად კვადრატული ფორმისაა, აქვს სამი წვეტი ან ძგიდე. წითელი ფერისაა კარდინალთათვის, მოიისფრო — ეპისკოპოსთათვის და შავი ფერისა — ყველა დანარჩენი ღმრთისმსახურისათვის.

ბერი (სტარეცი) [რუსულად „სტარეცი“ — „ბერი“, „უფროსი კაცი“] რუსული სამონასტრო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ფიგურა. ასე ეწოდება ასაკოვან მონაზონ კაცს, რომელსაც ხანგრძლივი წვრთნისა და თვითაღზრდის შედეგად გამომუშავებული აქვს ასკეტიზმისა და მორჩილების ჩვევები. მას უნარი შესწევს, სულიერად დამოძღვროს სხვა მონაზვნები და საერონი და სულიერი ხელმძღვანელის როლი შეასრულოს. არ აქვს რამე ოფიციალური თანამდებობა, ცხოვრობს განცლკევებულად, როგორც განდეგილი, ან მონასტერში და მისი გავლენა მის პიროვნებაზეა დამოკიდებული. მას ნებაყოფლობით მიმართავენ. მისი მოწაფე უარს ამბობს საკუთარ ნებაზე და უპირობოდ მიჰყვება ბერს, ზოგჯერ მის ცხოვრების წესსაც ბაძავს.

ბეჭედი [ლათ. anellus, კნინობითი ფორმა სიტყვისა anus „წრე“] კავშირისა და ერთგულების სიმბოლო, რომელსაც ერთმანეთს უცვლიან მეუღლეები ქორწინების საიდუმლოს აღსრულებისას. როგორც ძალაუფლებისა და ღირსების ნიშანს, ბეჭედს ატარებენ პრელატები. სავარაუდოდ, თავდაპირველად ეპისკოპოსებს ის ოფიციალურ დოკუმენტებზე ბეჭდის დასასმელად ჰქონდათ. შემდგომში ის საეპისკოპოსო რეგალიად იქცა; ეპისკოპოსი მას მარჯვენა ხელის არათითზე ატარებს. ბეჭედი მას ეპისკოპოსად კურთხევის დროს, საეპისკოპოსო კვერთხის გადაცემამდე ეძლევა. ბეჭედს ატარებენ, აგრეთვე, მოწესე ქალები მარცხენა ხელის არათითზე ქრისტესთან მათი კავშირის აღსანიშნავად. მებადურის ბეჭედი ეწოდება ბეჭედს, რომლითაც პაპი დოკუმენტებზე სვამს ბეჭედს. მასზე ამოტვიფრულია პონტიფექსის სახელი და წმიდა პეტრეს გამოსახულება, რომელიც ბადეს ისვრის წყალში. პაპის გარდაცვალების შემდეგ ის ნადგურდება. ამ ბეჭდის შესახებ ცნობები დაახლოებით XIII საუკუნიდან არსებობს.

ბზობის კვირადღე აღდგომის წინა კვირადღე. აღნიშნავს ქრისტეს საზეიმო შესვლას იერუსალემში მის ვნებამდე რამდენიმე დღით ადრე (იოან. 12:12-13). დღესასწაული VII საუკუნიდან იღებს დასაბამს. ლიტურგიაში სამი მომენტია გათვალისწინებული: პალმის ან ზეთისხილის რტოთა კურთხევა ეკლესიის გარეთ და მთელი საკრებულოს მონაწილეობა ლიტანიაში; ვნების საკითხავის კითხვა; ევქარისტიული მსახურება. იოანე პავლე II-ის თაოსნობით, ბზობის კვირადღეს დაიწყო ახალგაზრდობის მსოფლიო დღის აღნიშვნა.

ბიბლია [ბერძ. მრავლობითი ფორმის სახელიდან biblía „წიგნები“, „წიგნთა კრებული“. შემდგომ ლათ. დამკვიდრდა მდედრ. მხოლობითი რიცხვის ფორმით biblia, მოგვიანებით bibbia] სიტყვა ბიბლია არსად გვხვდება წმიდა წიგნებში. პირველად ის ქრისტეს შემდეგ III საუკუნეში გამოიყენეს, კერძოდ, ფსევდოკლემენტემ, კლემენტე ალექსანდრიელმა და ორიგენემ. ბიბლია ეწოდება თეოლოგიურ-ლიტერატურულ მთლიანობას, რომელიც 73 ნაწარმოებისაგან შედგება. ის ორ ძირითად ჯგუფად იყოფა, ესენია: ებრაული წარმოშობის ძველი აღთქმა (46 ტექსტი — „წიგნი“) და ქრისტიანული წარმოშობის ახალი აღთქმა (27 ტექსტი — „წიგნი“) [ტერმინი აღთქმა შეესაბამება ებრ. berît-სა და ბერძ. diathéke-ს და აღნიშნავს „შეთანხმებას“, „კავშირს“]. პრაქტიკული მოსაზრებიდან გამომდინარე, ბიბლიის სხვადასხვა წიგნები „თავებად“, ეს უკანასკნელნი კი „მუხლებადაა“ დაყოფილი. ბიბლიის თავებად დაყოფა XII საუკუნეში ინგლისელმა კარდინალმა სტეფანე ლანგტონმა დაამკვიდრა, მუხლებად დაყოფა კი XVI საუკუნეში ფრანგმა მბეჭდავმა, რობერტ ესტიენმა შემოიღო. სარწმუნოება ბიბლიას ერთ მთლიანობად აღიქვამს, თუმცა ლიტერატურული აგებულების, ისტორიული მიმართების, თეოლოგიურ შინაარსთა თვალსაზრისით ის მრავალმხრივად და არაერთგვაროვნად წარმოგვიდგება. მართლაც, ბიბლიის წიგნებმა, განსაკუთრებით — ძველი აღთქმის ტექსტებმა, დღევანდელ საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე ჯერ ზეპირი და შემდეგ წერილობით გადმოცემის ხანგრძლივი პროცესი განვლეს. ამგვარად მივიღეთ წიგნები, რომელთაც ჯერ იუდეველნი, შემდეგ კი ქრისტიანები „წმიდა“ ანუ ნორმატიულ, კანონიკურ წიგნებად აღიარებენ [ტერმინი კანონი (ბერძ. kanón) აღნიშნავს „საზომს“ და, მაშასადამე, „წესს“, „ნორმას“]. კანონიკურია წიგნები, რომელთაც ტრადიცია მუდამ ღმრთისგან „შთაგონებულებად“ მიიჩნევდა. აქედან, ბიბლია „ღმრთის სიტყვად“ აღიქმება. ბიბლია ამკვიდრებს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს, ღმრთის თვალსაწიერიდან, ისრაელის ისტორიასა და იესოს ისტორიას, ეკლესიის ისტორიას მისი აღმოცენების ჟამს და, აქედან გამომდინარე, ჩვენს ისტორიას. ბიბლიის ცალკეულ წიგნებთან მიმართებაში ტერმინები პირველკანონიკური და მეორადკანონიკური XVI საუკუნეში მოღვაწე სისტო სიენელმა დაამკვიდრა, ვინც ძველი აღთქმის კანონიკურ წიგნთა შორის განასხვავა წიგნები, რომელთა გამო საზოგადო თანხმობა არსებობდა, იმ წიგნთაგან, რომელთა ღმრთივშთაგონებულ ხასიათთან დაკავშირებით საუკუნეთა მანძილზე ეჭვობდნენ. მეორადკანონიკური წიგნებია: ტობითი, ივდითი, სიბრძნე სოლომონისი, სიბრძნე ზირაქისი, ბარუქ წინასწარმეტყველი, პირველი და მეორე მაკაბელთა, ნაწყვეტები დანიელ წინასწარმეტყველისა (3:24-90; 13; 14) და ესთერის (10:4-16:24) წიგნებიდან. ებრაელებმა მათ მიერ წმიდად აღიარებულ წიგნთა კანონი იავნეს სინოდზე დაამტკიცეს დაახლოებით ქრისტეს შემდეგ I საუკუნის დასასრულს. მასში არ არის შესული მეორადკანონიკური წიგნები. კათოლიკეთათვის კი ძველი აღთქმის კანონი პრაქტიკულად ამ ებრაულ კანონზე უფრო ადრე განისაზღვრა: მათ მიიღეს უმეტესი ნაწილი წიგნებისა, რომლებიც სეპტუაგინტას ბერძნულ ვერსიაში შედიოდა. ახალი აღთქმის ტექსტთა დადგენა შედარებით უფრო მარტივი იყო და საჭოჭმანო მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა გახდა. რაც შეეხება ბიბლიის ენას, ძველი აღთქმა თითქმის მთლიანად ებრაულ ენაზე დაიწერა. გამონაკლისს წარმოადგენდა არამეულად ნაწერი შემდეგი მონაკვეთები: იერ. 10:11; დან. 2:4ბ-7:28; გამ. 4:8-6:18; 7:12-26 და ბერძნულად დაწერილი სიბრძნე სოლომონისი და მეორე მაკაბელთა. ახალი აღთქმა მთლიანად ბერძნულ ენაზე დაიწერა, გარდა, როგორც ტრადიცია მოწმობს, მათეს სახარებისა, რომლის არამეულად დაწერილი ტექსტიც მთლიანად დაიკარგა. ახალი აღთქმის ბერძნული ავტოგრაფები დაკარგულია და მათ ჩაენაცვლა აპოგრაფები ანუ გადაწერილი პირები, რომელთა შედარებისა და ძველი თარგმანების სათანადოდ გამოყენების მეშვეობით სწავლულებს ძალუძთ, აღადგინონ ტექსტის თავდაპირველი სახე.

ბიბლიის ენა ბიბლიის ენებია ებრაული, არამეული და ძველი აღთქმის ბერძნული კოინე. ებრაული წმიდა ენად იყო მიჩნეული და მას სინაგოგაში კითხვისას მიმართავდენენ. ებრაულის მონათესავე არამეული ენა ვაჭრობასა და დიპლომატიაში ქრისტემდე VI საუკუნიდან დამკვიდრდა და იესოს დროს უკვე სახალხო ენას წარმოადგენდა. კოინეს ბერძნული ენა ახალი აღთქმის ნაწერებშია გამოყენებული. იესოს ჯვარზე მიკრულ აბრაზე მისი განაჩენი ებრაულ, ბერძნულ და ლათინურ ენებზე ეწერა (იოან. 19:20).

ბიბლიის კომენტარი ბიბლიის ვრცელი და სწავლული კომენტარი. განსხვავდება ბიბლიური კატენებისაგან უფრო ერთგვაროვანი და უკეთ ჩამოყალიბებული გადმოცემით. აღმოსავლეთში ბიბლიის კომენტარები დაწერეს ორიგენემ (III ს.), ეკუმენემ (VII ს.), წმიდა იოანე დამასკელმა (VIII ს.), ფოტიუსმა (IX ს.) და სხვ. დასავლეთში ცნობილია წმიდა ისიდორე სევილიელისა (VII ს.) და ღირსი წმიდა ბედას (VIII ს.) კომენტარები. თანამედროვე ხანაში ბიბლიური ეგზეგეზის განვითარებასთან ერთად ბიბლიის მაღალხარისხოვანი მრავალი კომენტარი შეიქმნა.

ბიბლიის კონკორდანსი [con + concordare „შეთანხმება“] ანბანური ჩამონათვალი ბიბლიის სიტყვათა (სიტყვათა საძიებელი) ან საკითხთა (რეალური საძიებელი). ვულგატას ტექსტის პირველი საძიებელი XIII საუკუნისაა. შემდეგ შეიქმნა საძიებლები ბერძნულ, ებრაულ და თანამედროვე ენებზე.

განუსვენე მათ, უფალო!

თემური მათოშვილი
* 29. 03.1990 წ. — არალი
† 28. 06.2011წ. — არალი

შუშანა ქუქჩიშვილი-ყაზაშვილი
* 1936 წ. — ხიზაბავრა (ასპინძა)
† 22. 07. 2011 წ. ხიზა (ლაგოდეხი)

ვენეტია ფილოშვილი
* 20. 12. 1923 წ. — ბათუმი
† 13. 06. 2011 წ. — ბათუმი

გიორგი ხითარიშვილი
* 10. 02. 1988 წ. — ვალე
† 23.06. 2011 წ. — ვალე

მარიამ ათოშვილი
* 28. 10. 1936 წ. — უდე
† 16. 06. 2011 წ. — უდე

ანტონ გოზალოვი
* 20. 04. 1931 წ. — ვალე
†22. 07. 2011 წ. — ვალე

იოსეგ პეტაშვილი
* 20. 06. 1928 წ. — უდე
† 16. 06. 2011 წ. — უდე

პეტრიაშვილი მარგალიტა
* 21. 03. 1913 წ. — უდე
† 09. 07. 2011 წ. — უდე

ქეთო (ეთერი) ერეკლიშვილი
* 22. 01. 1935 წ. — ახალციხე
† 11. 07. 2011 წ. — ზიკილია

ელისაგედ-თამარ გოგილაშვილი-ნასყიდაშვილი
* 02. 01. 1928 წ. — ვალე
† 01. 07. 2011 წ. — ვალე

სარჩევი

რედაქციის გვერდი 2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 3
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 6
კათოლიკური პასუხი 11
საარქივო მასალები 12
ინტერვიუ 13
ისტორიის ფურცლები 14
ქრისტიანობის ლექსიკონი 16
ინფორმაცია 17
ახალგაზრდული გვერდი 18
საგანგებო ჩანართი .....I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2011



საქართველოს კათოლიკეთა ახალგაზრდების საბჭო

ცხელი ზაფხულის ჯადოსნური დღეები უჩეკში

16 ივლისის მზიან და ხალისიან დღეს, მამა ზურაბ კაკაჩიშვილის ხელმძღვანელობით, ორმოცდაათკაციანი ჯგუფი შავი ზღვის სანაპიროსკენ, კერძოდ კი ურეკისაკენ გავემგზავრეთ. ჯგუფი სამხრეთ საქართველოს — ივლიტას, ვალეს, უდეს, არალის, ახალციხისა და ხიზაბავრის საკრებულოების ახალგაზრდებისგან შედგებოდა. მგზავრობის დასაწყისში ვილოცეთ და მარიამ ღვთისმშობელს მშვიდობიანი მგზავრობა შევთხოვეთ. ურეკი და მისი მობინადრეები ხალისიანად შეგვეგებნენ. ყველანი სასტუმრო „მაგნეტიტში“ დავბინავდით. მეგობრობის ძაფებიც უმალვე გაიბა ჩვენს შორის.

ურეკში მშვენიერი ამინდი დაგვხვდა. შეუძლებელია იმ ემოციების დამალვა, რაც ზღვაზე გასვლის პირველივე წუთებიდან ვიგრძენი. ცაზე კაშკაშა მზე ანათებდა და თავის თბილ, ოქროსფერ, მომაჯადოებელ სხივებს უხვად უგზავნიდა დედამიწას. ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც კი არსად ჩანდა, ყველაფერს საამო ოქროსფერი დასდებოდა. ჩვენს თვალწინ მშვენიერი პანორამა იშლებოდა, რომელიც თვალს გვიამებდა და გონებას გვიხალისებდა. შეუძლებელია, ბოლომდე აღვწერო ბუნების ის უმშვენიერესი, მომაჯადოებელი სურათი, რომელიც ჩემი თვალთახედვის არეში იყო მოქცეული, მაგრამ ერთი კი შემიძლია ვთქვა, რომ გაოცებული ვიყავი ამ საოცარი მშვენიერების ხილვით.

ურეკში ჩასვლისთანავე, ყველანი ზღვისკენ გავეშურეთ და მის მოლივლივე ტალღებს მივაშურეთ, ბანაობის შემდეგ კი მზის სხივებს მივეფიცხეთ გასარუჯად. ყოველ დილით ზღვაში ვბანაობდით, საღამოს კი „იმედის“ პარკში ვსეირნობდით, ვაწყობდით დისკოთეკებს და ასე მხიარულად ვატარებდით დროს. დასვენებასთან ერთად, მამა ზურაბი ცხოვრებისეულ, ადამინურ საკითხებზეც მიაპყრობდა ჩვენს ყურადღებას, აღვიძებდა ჩვენში ისეთ თვისებებს, როგორიცაა: მოთმინება, თავმდაბლობა, სიყვარული. დილიდან წმ. წირვის საშუალებით ვივსებოდით სული წმიდის მადლით, რაც საშუალებას გვაძლევდა, მთელი დღე ენერგიულად და ხალისიანად გაგვეტარებინა. ყოველი დღე იყო ერთმანეთისაგან განსხვავებული, საინტერესო და ახალ-ახალი სიურპრიზებითა და მოლოდინებით დატვირთული.

17 ივლისს ვესტუმრეთ ბათუმის სულიწმიდის კათოლიკურ ეკლესიას, სადაც წმ. წირვა აღევლინა, შემდეგ მოვინახულეთ ყოფილი კათოლიკური ეკლესია, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენ აღარ გვეკუთვნის; გავისეირნეთ ბათუმის უმშვენიერეს ბულვარში, რომელიც უფრო და უფრო ლამაზდება. აქ წელსაც ბევრი სიახლე დაგვხვდა და ჩვენს მოლოდინს აშკარად გადააჭარბა.

თვალის დახამხამებაში გაირბინა ამ ექვსმა უმშვენიერესმა და საინტერესო დღემ. ყველანი გულისტკივილით გამოვემშვიდობეთ ურეკს და შთაბეჭდილებებითა და ემოციებით დატვირთულნი დავუბრუნდით მშობლიურ კერას.

მთელი ჯგუფის სახელით, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მამა ზურაბს, რომელიც ყოველთვის ჩვენს გვერდით იყო და მამაშვილურად ზრუნავდა ჩვენზე. ღმერთმა დღეგრძელობა და ჯანმრთელობა მისცეს მას. ასევე, მადლობა სასტუმროს მეპატრონეს, ქალბატონ მანანას, გულთბილი დახვედრისა და მშობლიური გარემოს შექმნისათვის, და იმ სითბოსა და ყურადღებისათვის, რასაც ჩვენს მიმართ გამოხატავდა. ასევე დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ასეთი ლამაზი დღეები გვაჩუქა.

მადლობა უფალს, რომ ქვეყნად არსებობენ კეთილი ნების ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც სიხარულს ჩუქნიან ახალგაზრდებს და მომავლის იმედით ავსებენ მათ.

თინიკო მანველიშვილი

ვერსკვლავების ქვეშ

სულიერად შეერთებულნი პაპთან და ახალგაზრდებთან – მადრიდში

20 აგვისტოს საქართველოს კათოლიკური საკრებულოების ახალგაზრდები მოწვეულნი არიან წეროვანში, რათა გაატარონ ერთი ღამე სულიერ თანაზიარებაში მსოფლიოს ყველა ქვეყნის ახალგაზრდებთან ერთად, რომლებიც პაპის ირგვლივ შეიკრიბებიან მადრიდში.

ამ შეკრებაზე საქართველოდან მიემგზავრება ასობით ადამიანი, რათა შეუერთდნენ მთელი მსოფლიოს წარმომადგენლებს და მიიღონ რწმენისა და ზეიმის გამოცდილება იესოსთან — ქრისტიანული ცხოვრების ცენტრთან — ერთად.

ჩვენ, საქართველოს კათოლიკეები, მათ ვუერთდებით ლოცვით. ის ახალგაზრდები, რომლებიც ვერ ახერხებენ მადრიდში წასვლას და დარჩებიან საქართველოში, შეიკრიბებიან ეპისკოპოსთან ერთად წეროვანში. ღამის ლოცვისას, ისინი სულიერ ერთობაში იქნებიან მადრიდთან.

ვრობრეგე ვერსკვდევების ქვეშ: შეხვედრის ედგიდი წეროვანი

შაბათი, 20 აგვისტო
12:30 — წეროვანში ჩასვლა
13:30 — სადილი
15:00 — შეხვედრა არენაზე;
16:30 — თემის პრეზენტაცია;
18:00 — ლოცვა;
19:30 — ვახშამი;
21:00-23:00 — პირდაპირი ეთერი მადრიდიდან.

შეხვედრა გრძელდება მთელი ღამის განმავლობაში. ყველას ექნება საშუალება ადორაციისა და აღსარებისათვის.

კვირა, 21 აგვისტო
8:00 — დილის ქებანი;
8:00 — საუზმე;
9:30 — წმიდა წირვა;
10:30 — შინ დაბრუნება.

20 აგვისტოს ყველა ახალგაზრდას გელოდებით წეროვანში!

(გთხოვთ, თან იქონიოთ საძინებელი ტომარა, ან საბანი. წეროვანში წამოსვლის მსურველებს ვთხოვთ, ჩაეწერონ თავიანთ მოძღვართან და მიიღონ მისგან დამატებითი ინფორმაცია).

ახალგაზრდული საბჭო

მომლოცველობა სტამბულში

სარწმუნოება
სინდისის,
სასოების საქმეა
და აქ ყველა
თავისუფალია და
ხელშეუხებელი

ილია

ახალგაზრდები ურეკში